პრევენციული ღონისძიებები შემსრულებლის პირადი უფლებების დასაცავად ინტერნეტსივრცეში

ნინო კურლიგინი

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
თბილისი, 0186, საქართველო

სექტემბერი 2020

საავტორო უფლება 2020 ნინო კურლიგინი

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ნინო კურლიგინის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: ,,პრევენციული ღონისძიებები შემსრულებლის პირადი უფლებების დასაცავად ინტერნეტსივრცეში“ და ვაძლევ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი : 03.09.2020

ხელმძღვანელი: გიორგი მესხი

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

განაცხადი წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სტუდენტი: ნინო კურლიგინი

თარიღი: 03.09.2020

რეზიუმე

ნაშრომი ეხება შემსრულებლის პირადი უფლებების დაცვას ინტერნეტსივრცეში და მასთან დაკავშირებულ პრევენციულ ღონისძიებებს. განხილულია შემსრულებლის პირადი უფლებები, მათი დაცვა როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით, ასევე ევროპული კავშირის შესაბამისი დირექტივები. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია შემსრულებლის კონკრეტულ უფლებებზე და მათი დარღვევის ფაქტებზე, ასევე კანონმდებლობის მიმართებაზე ამ დარღვევებთან.

ნაშრომის მიზანია შემსრულებლის პირადი უფლებების დაცვის საშუალებების ეფექტიანობის განხილვა, ინტერნეტსივრცეში დარღვეული უფლებების გამოკვეთა, რეკომენდაციების გაცემა ამ პრობლემასთან დაკავშირებით. ნაშრომის შემუშავებისას გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები და განხილულია როგორც პირველადი, ისე მეორადი წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია. ნაჩვენებია თემის პრობლემურობა და აქტუალურობა, რაც დასტურდება იმითაც, რომ ჯერ არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს ინტერნეტსივრცეს და რომლითაც დაცულია შემსრულებლის უფლებები ციფრულ სამყაროში.

როდესაც გაჩნდა ხმის ჩამწერი ტექნოლოგიები, სამართლებრივი დაცვის გარეშე აღმოჩნდნენ შემსრულებლები, რამაც განაპირობა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა შემსრულებლის უფლებების დაცვის მიზნით (ბერნის კონვენცია და რომის კონვენცია- „შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ“). მიუხედავად აღნიშნულისა, დღემდე პრობლემურ საკითხად რჩება შემსრულებლის პირადი უფლებების დაცვა ინტერნეტსივრცეში. თანამედროვე სამყაროში ინტერნეტსივრცე გახდა ყველასათვის ხელმისაწვდომი, რამაც განაპირობა ის, რომ ვერ ხდება შემსრულებლის უფლებების დაცვა ინტერნეტსივრცეში, რადგანაც დიდია ეს სივრცე და თითქმის შეუძლებელიც კია, აკონტროლო, სად ვრცელდება, ან მახინჯდება შესრულება და ა.შ. შესაბამისად, აუცილებელია, მოცემული საკითხი, მისი აქტუალურობიდან გამომდინარე, დადგეს დღის წესრიგში.

პრობლემის აქტუალობა გვაჩვენებს, რომ შემსრულებლის პირადი უფლებების დაცვაზე ინტერნეტსივრცეში საჭიროა ფიქრი და მსჯელობა. რეკომენდაციის სახით ნაშრომში წარმოდგენილია პრობლემის მოგვარების გზები, რომლის შემდეგაც შესაძლებელია გარკვეულწილად დაცული იყოს შემსრულებლის უფლებები ინტერნეტსივრცეში. ნაშრომი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად კანონმდებლობის არსებობისა, უამრავი საქმეა სასამართლოში, რომელიც ეხება საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტებს, შესაბამისად, აუცილებელია იმაზე ფიქრი, თუ კონკრეტულად როგორ დავიცვათ - ამ

შემთხვევაში - შემსრულებლის პირადი უფლებები ინტერნეტსივრცეში, რაც საკმაოდ პრობლემურია და ნათლად ჩანს მოცემულ ნაშრომშიც. ნაშრომის ძირითადი მიზანია პრობლემის ნათლად წარმოჩენა და მისი მოგვარების გზების დასახვა.

Resume

The paper deals with the protection of the personal rights of the performer in the Internet, as well as preventive measures connected to it. The personal rights of the performer, their protection under national and international law, as well as appropriate EU directives are discussed. The study focuses on the specific rights of the performer and the facts of their violation, as well as the relationship of the legislation with these violations.

The aim of the paper is to review the effectiveness of the means of protecting the rights of the performer, to identify the rights violated in the Internet space, to make recommendations on this issue. Qualitative research methods are used in the development of the paper and the information obtained from both primary and secondary sources is discussed. The problematic and topicality of the issue is shown, which is also confirmed by the fact that there is no legislation that regulates the Internet space and which protects the rights of the performer in the digital world.

With the advent of sound recording technologies, performers found themselves without legal protection, which led to effective steps to protect the rights of performers (the Berne Convention and the Rome Convention on the Protection of Performers, Phonogram Producers and Broadcasting Organizations), the International Convention for the Protection of Performers, Producers of Phonograms and Broadcasting Organizations was signed - the Rome Convention, which protected the rights of performers but was quite problematic in protecting the rights of performers in the Internet. The modern world has made the Internet accessible to all, which means that the rights of the performer can not be protected in the Internet space, because this space is large and it is almost impossible to control where the performance is spread or distorted, etc.

This actual character of the problem shows that the protection of the rights of the performer in the Internet requires thinking and reasoning. As a recommendation, ways to solve the problem are discussed, after which it is possible to protect the personal rights of the performer to some extent in the Internet. The paper shows that despite the existence of legislation, there are numerous cases in the court dealing with copyright infringement, so it is necessary to think about how to specifically protect - in this case - the rights of the performer in the Internet, which is quite problematic and clearly seen in this paper. The main purpose of the paper is to present the problem clearly and to achieve its solution.

სარჩევი

აბრევიატურები : viii

შესავალი ix

თავი I. შემსრულებლის უფლებები 15

1.1. შემსრულებლის უფლებების დაცვა ინტერნეტსივრცეში 21

1.2. შემსრულებლის პირადი უფლებები 28

1.2.1. სახელის უფლება 31

1.2.2. შესრულების დაცვა ყოველგვარი დამახინჯებისგან 33

1.3. შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება 34

1.3.1. შესრულების ჩაწერის აკრძალვა/ნების დართვა 36

1.3.2. ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების რეპროდუცირება 38

1.3.3. ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების ორიგინალის ან ასლების გავრცელება 40

თავი II. პრევენციული ღონისძიებები შემსრულებლის უფლებების დასაცავად 42

2.1. კანონმდებლობა ინტერნეტსივრცეში შემსრულებლის უფლებების დასაცავად 45

2.2. სასამართლოსთვის მიმართვა 47

2.3. პროგრამული უზრუნველყოფა 48

2.3.1. „Content Id" 50

2.3.2. „Digital Millennium Copyright Act" 51

დასკვნა 53

ბიბლიოგრაფია 58

აბრევიატურები :

ა.შ. - ასე შემდეგ

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

იხ. - იხილე

მაგ. - მაგალითად

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სსსკ - საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

სსსკ - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

წ. - წელი

ისმო - ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია

WIPO – World Intellectual Property Organization

DMCA – Digital Millennium Copyright Act

EFF - Electronic Frontier Foundation

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების წარმატება ეფუძნება ახალ იდეებს, ცოდნას, აღმოჩენებსა და ტექნოლოგიურ მიღწევებს, შესაბამისად, ინტელექტუალური პოტენციალი თამაშობს განსაკუთრებულ როლს სახელმწიფოს ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ განვითარებაში. [1] სწორედ ამან განაპირობა საავტორო უფლების დაცვა კანონმდებლობით[2] და საერთაშორისო შეთანხმებებით.[3]

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად გაიზარდა საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევები, მიზეზები მრავალფეროვანია, გამომდინარე აქედან მისი გადაჭრის გზები ქმედითი და ეფექტური უნდა იყოს. ონლაინ მეკობრეობა, როგორც წესი, პირდაპირი საფრთხეა ციფრული ინდუსტრიის მწარმოებლისთვის, ასე მაგალითად პროგრამის, მუსიკის, წიგნებისა და ფილმების მწარმოებლები მალე შეიძლება სტიმულის გარეშე დარჩნენ, შესაბამისად შემცირდება ინვესტიციების ჩადების სურვილი ამ პროდუქციის წარმოებაში. [4] ამ ყველაფერს ხელს უწყობს ინტერნეტი, რომელიც თავის მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა დემოკრატიისათვის. მისი წყალობით სხვადასხვა ეროვნების ხალხები ავრცელებენ და ცვლიან უპრეცედენტო რაოდენობის ინფორმაციასა და იდეებს. ინტერნეტის საშუალებით მომხმარებელი იგებს მრავალფეროვანი კულტურების შესახებ, ინტერნეტი მეტ თავისუფლების საშუალებას იძლევა.[5]

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონს შექმნის დღიდან ყველაზე დიდი საფრთხეს უქმნის ინტერნეტი. სახელმწიფოები

---

[1] გაბუნია დ., კვიმსაძე მ., მელითაური ზ., ინტელექტუალური საკუთრება, თბილისი, 2001, 2.

[2] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.

[3] ისმო - "ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია".

[4] Peukert Ch., Claussen J., Kretschmer T., Piracy and Box Office Movie Revenues: Evidence from Megaupload, 2017, 1.

[5] Council of Europe, Internet Governance strategy 2016-2019, 9.

ცდილობენ დაეწიონ ციფრული ინდუსტრიის განვითარებას, რომელიც ელვის სისწრაფით იცვლის ციფრულ ლანდშაფტს. ციფრული მეკობრეობა, რომელიც გულისხმობს საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოების უკანონო მოპოვებას და გაზიარებას, როგორიცაა მუსიკა, ფილმები, პროგრამული უზრუნველყოფა, ელექტრონული წიგნები და სხვა ნამუშევრები, გლობალურ პრობლემად ყალიბდება. ამის მთავარი მიზეზია კანონდამრღვევთა გამოააშკარავება, რასაც კიდევ უფრო ართულებს მათი ონლაინ რეჟიმში მოქმედება.

საავტორო უფლებასთან ერთად არსებობს და მისგან გამომდინარეობს მომიჯნავე უფლებები, მაგალითად, შესრულება და მისი გავრცელება ტექნიკური საშუალებებით. მომიჯნავე უფლებების მიზანია, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა კანონიერი ინტერესების დაცვა, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ნაწარმოებების საჯაროდ ხელმისაწვდომობაში, მაგალითად, მომღერალი ან მუსიკოსი, მსახიობი, რომელიც კომპოზიტორის ნაწარმოებს საჯაროდ ასრულებს.[6]

მომიჯნავე უფლებების დაცვა ეხება პირებს, რომლებიც მნიშვნელოვან შემოქმედებით, ტექნიკურ და საორგანიზაციო ძალისხმევას ახმარენ ნაწარმოების საზოგადოებამდე მიტანას, მათ გასაჯაროებას. მომიჯნავე უფლებების ერთ-ერთი სუბიექტი არის შემსრულებელი - მსახიობი (თეატრის, კინოსი), მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, კითხულობს, მღერის, ახდენს დეკლამირებას, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე, ან სხვაგვარად ასრულებს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს, საესტრადო, საცირკო, თოჯინურ ან ფოლკლორულ ნომერს.[7] შემსრულებელი მომიჯნავე

[6] გაბუნია დ., კვიმსაძე მ., მელითაური ზ., ინტელექტუალური საკუთრება, თბილისი, 2001, 3.

[7] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 4.

უფლებებს ახორციელებს შესრულებული ნაწარმოების ავტორის უფლებათა დაცვის პირობით.[8]

გასული საუკუნის დასაწყისში გაჩნდა ხმის ჩამწერი ტექნოლოგიები, განვითარდა ციფრული სამყარო, რამაც განაპირობა ის, რომ სამართლებრივი დაცვის გარეშე აღმოჩნდნენ შემსრულებლები. ერთი მხრივ, ტექნოლოგიები დაეხმარა შემსრულებელს წარმატების მიღწევაში, გაეცნო შესრულება ფართო აუდიტორიისათვის, მაგრამ მეორე მხრივ, იკლო მოთხოვნამ ცოცხალ შესრულებაზე. არსებულმა სიტუაციამ განაპირობა ის, რომ 1948 წელს დაიწყო ბერნის კონვენციის გადასინჯვა და ფიქრი შემსრულებლის უფლებების დაცვაზე.[9] საბოლოოდ, 1961 წლის 26 ოქტომბერს ხელი მოეწერა საერთაშორისო კონვენციას „შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ“ - რომის კონვენციას, რომელიც დაიცავდა შემსრულებლის უფლებებს.[10] საავტორო უფლება დაცულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითაც.[11] საინტერესოა ისმოს 1996 წლის ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ, რომელიც იცავს ბერნის 1886 წლის კონვენციას.[12]

მართალია, რომის კონვენციით ხდება შემსრულებლის უფლებების საერთაშორისო დაცვა, მაგრამ საკმაოდ პრობლემურია შემსრულებლის უფლებების დაცვა ინტერნეტსივრცეში. თანამედროვე სამყაროში ინტერნეტსივრცე გახდა ყველასათვის ხელმისაწვდომი, რამაც გარკვეულწილად განაპირობა შემსრულებლის უფლებების დარღვევა ინტერნეტსივრცეში. იმდენად დიდია ეს სივრცე, რომ თითქმის შეუძლებელიც კია, აკონტროლო სად ვრცელდება, ან მახინჯდება

[8] იქვე, მუხლი 46.
[9] დ. გაბუნია, გ. თაქთაქიშვილი, საერთაშორისო საავტორო სამართალი, თბილისი, 2016, 87.
[10] იქვე, 91.
[11] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 27.
[12] ისმოს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ.

შესრულება და ა.შ. მართალია, არსებობს „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია“, რომელიც ფუნქციონირებს 1999 წლიდან და უზრუნველყოფს ავტორთა და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მართვას, რაც გულისხმობს საავტორო და მომიჯნავე უფლებების ობიექტებით სარგებლობისთვის ლიცენზიების გაცემას, ჰონორარის შეგროვებას და ავტორებისა და მომიჯნავე უფლების მფლობელებისათვის განაწილებას, მაგრამ ხსენებული ორგანიზაციაც კი ვერ ახერხებს, სრულად დაიცვას შემსრულებლები მათი უფლებების დარღვევისაგან ინტერნეტსივრცეში. [13]

საავტორო უფლებათა ასოციაციამ განაცხადა, რომ არ ჰქონიათ სასამართლო დავები შემსრულებლის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით ინტერნეტსივრცეში [14] , რაც ადასტურებს, რომ ინტერნეტსივრცე არის შემსრულებლისათვის საფრთხე, რადგანაც შესაძლოა, შემსრულებელმა წლების მანძილზეც ვერ შეიტყოს, რომ მისი უფლებები ირღვევა ინტერნეტში, ან, თუ გაიგებს, ერთადერთი გზა მისი უფლებების დასაცავად რჩება - მიმართოს სასამართლოს. აქედან გამომდინარე, საჭიროა ფიქრი პრევენციულ ღონისძიებებზე.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს შემსრულებლის უფლებების დარღვევას ინტერნეტსივრცეში - კონკრეტული ფაქტებით, მათი შესრულების დამახინჯებასა და უნებართვო გავრცელებას. ნაშრომში ნახავთ კონკრეტულ საქმეებს სასამართლო პრაქტიკიდან, რომლებიც ნათლად აჩვენებენ აღნიშნული პრობლემის აქტუალობას, განვიხილავთ კონკრეტული შემსრულებლების ინტერვიუებს. მოცემული კვლევა გვიჩვენებს, რომ მიუხედავად შემსრულებლის უფლებების დაცვისა

[13]{ https://gca.ge/index.php?cid=60 } {06.06.2020}
[14] პირადი მიმოწერა სოციალურ ქსელში.

კანონით[15] და არაერთი კონვენციით[16], არსებობს ინტერნეტსივრცე, სადაც უკონტროლოა უფლებების დარღვევის ფაქტები.

ნაშრომში განხილული იქნება ევროკავშირის საერთაშორისო დირექტივები, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა და სასამართლო პრაქტიკა შემსრულებლის უფლებების დაცვის სფეროში. ყურადღება იქნება გამახვილებული პრევენციულ ღონისძიებებზე.

ნაშრომის მიზანია შემსრულებლის უფლებების დაცვის საშუალებების ეფექტიანობის განხილვა, ინტერნეტსივრცეში დარღვეული უფლებების გამოკვეთა, რეკომენდაციების გაცემა ამ პრობლემასთან დაკავშირებით. კვლევაში ყურადღება გამახვილებულია შემსრულებლის კონკრეტულ უფლებეზე და მათი დარღვევის ფაქტებზე, ასევე კანონმდებლობის მიმართებაზე ამ დარღვევებთან. ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები და განხილულია როგორც პირველადი, ისე მეორადი წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული კვლევა გვაჩვენებს, რომ შემსრულებლის უფლებების დაცვაზე ინტერნეტსივრცეში საჭიროა ფიქრი და მსჯელობა. ნაშრომში, რეკომენდაციის სახით, განხილული იქნება პრობლემის მოგვარების გზები, რომლის შემდეგაც შესაძლებელია გარკვეულწილად დაცული იყოს აღნიშნული უფლებები. ნაშრომი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად კანონმდებლობის არსებობისა, სტატისტიკურად წლიურად არაერთი საქმეა სასამართლოში[17], რომელიც ეხება საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტებს, შესაბამისად, აუცილებელია იმაზე ფიქრი, თუ კონკრეტულად როგორ დავიცვათ - ამ შემთხვევაში - შემსრულებლის პირადი უფლებები ინტერნეტში.

[15] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 46.
[16] შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (რომის კონვენცია).
[17] { https://tcc.court.ge/ka/Statistics } {20.08.2020}

თავი I. შემსრულებლის უფლებები

შემსრულებლის უფლებები მჭიდროდაა დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ცნებასთან - „ადამიანის გონებრივ შემოქმედებითი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მრეწველობასთან, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების ნაწარმოებთან, წარმოშობს უფლებათა ერთობლიობას, რომელსაც ინტელექტუალური საკუთრება ეწოდება“. [18] ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ ინტელექტუალური საკუთრების უფლება ყალბი უფლებაა - „ინტელექტუალური საკუთრების ყალბი უფლება სახელმწიფოს მიერაა დაკანონებული და პირდაპირ ურტყამს შეუზღუდავი კონკურენციის და, შესაბამისად, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს”.[19]

როგორც განმარტავენ, ინტელექტუალური საკუთრება ორ ნაწილად იყოფა: „სამრეწველო საკუთრებად“ და „საავტორო უფლებად“. [20] სწორედ ამიტომ, სტოკჰოლმში 1967 წ. 17 ივლისს მიიღეს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) დამფუძნებელი კონვენცია, რომლის მიხედვითაც, ინტელექტუალური საკუთრება მოიცავს როგორც საავტორო, ისე მომიჯნავე უფლებებს. [21] ისმო ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაა, რომელიც დაფუძნდა 1967 წელს, საქართველო მას 1994 წელს მიუერთდა.[22] „საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია“. [23]

---

[18] { www.sakpatenti.gov.ge } {06.06.2020}

[19] { https://www.girchi.com/ge/media/news/2033-intelektualuri-sakutrebis-upleba-realuri-sakutrebis-uplebis-cinaaghmdeg } {30.08.2020}

[20] გაბუნია დ., კვიმსაძე მ., მელითაური ზ., ინტელექტუალური საკუთრება, თბილისი, 2001, 18.

[21] ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია, 1967, მუხლი 2.

[22] ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2002, 376.

[23] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 5.

ინტელექტუალური შემოქმედება სულიერ-გონებრივი შრომით გამოირჩევა, მას სამოქალაქო სამართლიდან „პირად არაქონებრივ უფლებებად“ მოიაზრებენ. [24] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ინტელექტუალურ საკუთრებას იცავს შემოსავლების სამსახურიც - „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონით.[25] 2019 წელს სომხეთში იურისტთა საერთაშორისო გაერთიანებამ ჩაატარა კვლევა ინტელექტუალურ საკუთრებაზე, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ ინიციატივა - EU4Digital საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური ინოვაციების შესახებ (კონკრეტულად სომხეთში) არის საჭირო, ვინაიდან ამას მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიები.[26]

მომიჯნავე უფლებები არის საავტორო უფლებებისაგან წარმოშობილი, განსაკუთრებული უფლებების სახესხვაობა. [27] მომიჯნავე უფლებებს ფართოდ განმარტავს საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ - „მომიჯნავე უფლებები ხორციელდება საავტორო უფლებების პატივისცემის გზით“. [28] მომიჯნავე უფლება ვრცელდება შესრულებაზე, ფონოგრამაზე, ვიდეოგრამასა და მონაცემთა ბაზებზე. [29] აქედან გამომდინარე, არსებობს მომიჯნავე უფლების მქონე სუბიექტები, ერთ-ერთი სუბიექტი არის შემსრულებელი - „მსახიობი (თეატრის, კინოსი და ა.შ.), მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, კითხულობს, მღერის, ახდენს დეკლამირებას, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე, ან სხვაგვარად ასრულებს

[24] ძამუკაშვილი დ, ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, თბილისი, 2014, 11.

[25] { https://www.rs.ge//4865 } {30.08.2020}

[26] { https://eufordigital.eu/geo/managing-intellectual-property-rights-for-digital-innovation-meeting-a-key-challenge-for-innovative-smes/ } {30.08.2020}

[27] { www.gen.ge } {25.07.2020}

[28] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 45.

[29] { www.gca.ge } {15.08.2020}

ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს, საესტრადო, საცირკო, თოჯინურ ან ფოლკლორულ ნომერს“.[30]

შემსრულებელი მომიჯნავე უფლებებს ახორციელებს შესრულებული ნაწარმოების ავტორის უფლებების დაცვის პირობით.[31] მაგალითად, თუ გვაქვს ორიგინალური სიმღერა, რომლის კომპოზიტორს და ტექსტის ავტორს ეკუთვნის საავტორო უფლება ამ ორიგინალური ნაწარმოების შექმნაზე და შეასრულებს მას მომღერალი, სწორედ ამ მომენტიდან წარმოეშობა მას შემსრულებლის უფლებები. საავტორო უფლების მქონე სუბიექტები პერიოდულად ნაწარმოების შესრულების მიზნით, საკუთარ ნაწარმოებებს სთავაზობენ შემსრულებლებს, რომლებიც საჭიროებენ დაცვას ნაწარმოების ორიგინალურ შესრულებაზე. არის შემთხვევები, როდესაც მომიჯნავე უფლება წარმოიშობა ისეთ შესრულებაზე, რომელსაც გასული აქვს საავტორო უფლება, მაგ. ასეთი ნაწარმოები არის საზოგადოების კუთვნილება - „Public Domain“ და შესაბამისად, ის არ არის საავტორო უფლებით დაცული.[32]

შემსრულებლის ცნებას განმარტავს ბერნის კონვენციაც: „შემსრულებლები არიან: მსახიობები, მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები და პირები, რომლებიც ასრულებენ როლს, მღერიან, კითხულობენ, დეკლამირებენ, უკრავენ ან სხვაგვარად მონაწილეობენ ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებების შესრულებაში“.[33] არსებობს მოსაზრება, რომ შემსრულებლებში ასევე უნდა მოიაზრებოდნენ დირიჟორებიც.[34] ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. აქედან გამომდინარე, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ, ეროვნული კანონმდებლობით გააფართოვონ

---

[30] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 4.
[31] იქვე, მუხლი 46.
[32] საქპატენტის სასწავლო ცენტრი, Dl101GE20S1 - კურსზე მიღებული სასწავლო მასალა.
[33] ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის 1886 წლის კონვენცია, მუხლი 3.
[34] გაბუნია დ., თაქთაქიშვილი გ., საერთაშორისო საავტორო სამართალი, თბილისი, 2016, 95.

ჩამონათვალი. აღნიშნული განმარტებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, როგორც პროფესიონალი, ან არაპროფესიონალი, ისე სრულწლოვანი, ან არასრულწლოვანი. [35]

გასული საუკუნის დასაწყისში ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ, კერძოდ, ხმის ჩამწერი ტექნოლოგიების გავრცელებამ განაპირობა ის, რომ სამართლებრივი დაცვის გარეშე დარჩნენ შემსრულებლები, ამიტომაც XX საუკუნის ოცდაათიან წლებში გერმანიასა და ავსტრიაში დაიწყეს კანონმდებლობაზე მუშაობა, რომელიც დაიცავდა შემსრულებლის უფლებებს.[36] მომიჯნავე უფლებები ენიჭება მფლობელთა სამ კატეგორიას: შემსრულებლებს, პროდიუსერებსა და მაუწყებლებს, მათი სამართლებრივი დაცვის საჭიროება გამოვლინდა რომის კონვენციაში 1961 წელს, რომელმაც დანერგა საერთაშორისო რეგულაციები ახალ სფეროში.[37] საბოლოოდ, 1961 წლის ოქტომბერში, რომში შედგა კონფერენცია, სადაც მონაწილეობდა 41 ქვეყნის წარმომადგენელი და სამი საერთაშორისო ორგანიზაცია: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, იუნესკო და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის გაერთიანებული საერთაშორისო ბიურო. 26 ოქტომბერს ხელი მოეწერა საერთაშორისო კონვენციას „შემსრულებლების, ფონოგრამის დამამზადებლებისა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ“ - რომის კონვენცია[38], რომელმაც მიზნად დაისახა შემსრულებლის უფლებების დაცვა. კონვენცია ძალაში შევიდა 1964 წელს, დღეს რომის კონვენციის წევრია 76 ქვეყანა. საქართველოს პარლამენტმა რომის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 2004 წლის 17

[35] იქვე, 95.
[36] იქვე, 88.
[37] საქპატენტის სასწავლო ცენტრი, Dl101GE20S1 - კურსზე მიღებული სასწავლო მასალა.
[38] შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (რომის კონვენცია) 1961.

თებერვალს.[39] ის არ ითვალისწინებს არაქონებრივი უფლებების დაცვას. კონვენციის ძირითადი დებულებები ეხება შემსრულებელთა უფლებებს – „ცოცხალი“ შესრულების გადაცემასა და ჩაწერას, აგრეთვე, შესრულების ჩანაწერის გამოყენებას.[40] რომის კონვენცია მოიცავს გარკვეულ შეზღუდვებს, მაგალითად, ნებადართულია დაცული შესრულების ფიზიკური პირის მიერ პირადი სარგებლობისთვის გამოყენება, მიმდინარე მოვლენების შესახებ საინფორმაციო გადაცემებში მოკლე ფრაგმენტების გამოყენება, პედაგოგიურ, ან სამეცნიერო საქმიანობაში გამოყენება.[41]

კონვენციის ძირითადი პრინციპი არის შემსრულებელის უფლებების დაცვა. ის იცავს შესრულებას - „შემსრულებლის მოქმედებას, რომელიც მოიცავს ნაწარმოების საჯარო წაკითხვას და ჩვენებას, ასევე შემოქმედებით პროცესს, როდესაც სრულდება ლიტერატურული ან ხელოვნების ნაწარმოები“.[42] კონვენცია განსაზღვრავს შემსრულებლის განსაკუთრებულ უფლებებს შესრულების გამოყენებაზე, ასევე ურთიერთობას შემსრულებელსა და მაუწყებლობის ორგანიზაციას შორის.[43] რომის კონვენცია შესრულებისათვის ადგენს დაცვის მინიმალურ ვადებს[44] - დაცვის ვადა უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, 20 წელიწადს და აითვლებოდეს იმ წლის დასასრულიდან, როდესაც: განხორციელდა ფონოგრამის ჩაწერა - ფონოგრამებისათვის და მასში შესული შესრულებისათვის, განხორციელდა შესრულება - შესრულებისათვის,

[39] გაბუნია დ., თაქთაქიშვილი გ., საერთაშორისო საავტორო სამართალი, თბილისი, 2016, 91.
[40] იქვე, 93.

[41] „შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (რომის კონვენცია), მუხლი 14.

[42] იქვე, მუხლი 7.
[43] იქვე, მუხლი 7.
[44] იქვე, მუხლი 14.

რომელებიც არ არიან შესული ფონოგრამაში, განხორციელდა მაუწყებლობა - გადაცემებისათვის.[45]

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით, უფლებების მინიჭება ხდება უფრო გრძელვადიანი პერიოდით, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმებაში (TRIPS, ნაწილი 2), შემსრულებელთა და ფონოგრამების დამამზადებელთა უფლებები დაცულია 50 წლის ვადით იმ წლის ბოლოდან, როდესაც დაფიქსირდა ან შესრულდა ნაწარმოები.[46]

შემსრულებლის უფლებები დაცულია ქართულ კანონმდებლობაშიც - საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონით : „შემსრულებელს აქვს არაქონებრივი უფლებები: სახელის უფლება, რეპუტაციის პატივისცემის უფლება, შესრულების გამოყენების უფლება ნებისმიერი ფორმით; ასევე ქონებრივი უფლებებიც: შესრულების ჩაწერის უფლება, ჩანაწერის რეპროდუცირების უფლება, ეთერში გადაცემის უფლება, ფონოგრამაზე/ვიდეოგრამაზე ჩაწერილი შესრულების გაქირავების უფლება“.[47]

შემსრულებლის პირადი უფლებების დაცვა ხშირად უპირისპირდება საჯარო ინტერესს, მაგალითად - გამოხატვის თავისუფლებას. ასეთ დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უპირატესობას ანიჭებს

---

[45] შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (რომის კონვენცია), მუხლი 14.

[46] საქპატენტის სასწავლო ცენტრი, Dl101GE20S1 - კურსზე მიღებული სასწავლო მასალა. („აღსანიშნავია, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების თანახმად, 2018 წელს განხორციელდა ცვლილებები და დამატებები საქართველოს კანონში ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. აღნიშნული ცვლილებების ნაწილით, გარკვეულ შემთხვევებში, შემსრულებელთა და ფონოგრამების დამამზადებელთა დაცვის უფლების ვადა გაიზარდა 50-დან 70 წლამდე ვადით“).

[47] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 47.

რეპუტაციის დაცვის უფლებას და არ თვლის მას გამოხატვის თავისუფლების დარღვევად.[48]

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსრულებლის უფლებები უნდა იყოს დაცული როგორც საერთაშორისო, ასევე ქვეყნის კანონმდებლობით - ინტერნეტსივრცეში. ვინაიდან ინტერნეტსივრცის არსებობამ გამოიწვია მათი უფლებების დარღვევა და ეს გახდა უკონტროლო, რადგანაც არ არსებობს ძლიერი დაცვის სისტემები, რომლებიც ინტერნეტში დაიცავს ადამიანის, ამ შემთხვევაში - შემსრულებლის პირად უფლებებს.

1.1. შემსრულებლის უფლებების დაცვა ინტერნეტსივრცეში

ინტერნეტის შექმნამ მთელი მსოფლიო ერთმანეთს დააკავშირა, რადგანაც ის ყველასთვის ხელმისაწვდომია. ამ სივრცის არსებობამ კი საფრთხე შეუქმნა შემსრულებლის უფლებების დაცვას. მაგალითად, შემსრულებლის უფლება, დაიცვას შესრულება დამახინჯებისაგან, ნება დართოს/აკრძალოს შესრულების გამოყენება, ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების გამოყენება, სახელის უფლება. [49] პრობლემებიდან გამომდინარე, საჭიროა ფიქრი შემსრულებლის უფლებების დაცვის ღონისძიებებზე.

ინეტრნეტსივრცეში იმატა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევის რისკებმა და იმ პირების აღმოჩენა, რომლებიც არღვევენ კანონს, დიდ ფულად და დროის რესურსს მოითხოვს, ამ შემთხვევაში საუკეთესო საშუალება მეორეული პასუხისმგებლობაა (მაგ. საქართველოს სამოქალქო კოდექსი გარკვეულ შემთხვევაში დასაქმებულის მიერ ჩადენილი

[48]ECHR, Cidad v. Switzerland, App no 17676/09.

[49] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 47.

ქმედებისათვის დამსაქმებელს აკისრებს პასუხისმგებლობას[50]). [51] თუმცა, არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან რეგულაციების გამკაცრებას, მაგალითად - "Electronic Frontier Foundation" - "EFF".[52] ასევე, არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია - „Creative Commons", რომელიც უზრუნველყოფს ნაწარმოებების თავისუფლად გავრცელებას მთელ მსოფლიოში, საავტორო უფლებების დაცვით.[53]

საქართველოშიც არსებობს ორგანიზაცია, რომელიც იცავს საავტორო და მომიჯნავე უფლებებს - „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია", რომელიც ფუნქციონირებს 1999 წლიდან და უზრუნველყოფს ავტორთა და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა დაცვას, [54] თუმცა ასოციაციის თავმჯდომარე - გიგა კობალაძე პირველ არხთან ინტერვიუში აცხადებს: „ინტერნეტ სივრცის შემთხვევაში, ავტორმა ინდივიდუალურად უნდა დაიცვას საკუთარი უფლებები. მან იურისტის დახმარებით უნდა იპოვოს საავტორო უფლების დამრღვევი და კომპენსაცია მოსთხოვოს. მთელ მსოფლიოში მთავრობები სხვადასხვა მექანიზმით ცდილობენ ინტერნეტ მეკობრეობასთან ბრძოლას."[55] აქვე, ასოციაციის თავმჯდომარე ამბობს, რომ ინტერნეტსივრცის შემთხვევაში, საავტორო უფლების მქონე სუბიექტმა, ჩვენ შემთხვევაში - შემსრულებელმა, ინდივიდუალურად უნდა დაიცვას საკუთარი უფლებები, მან იურისტის დახმარებით უნდა იპოვოს საავტორო უფლების დამრღვევი და კომპენსაცია მოსთხოვოს. [56] ეს კიდევ ერთხელ

---

[50] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 997.

[51] Peguera M., Converging Standards of Protection from Secondary Liability for Trademark and Copyright Infringement Online, 37 Colum. J.L. & Arts 609 (2014), 609. იხ. ნაშრომში: ცინცაძე გ., ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის საშუალებები, თბილისი, 2019, 14.

[52] Unintended Consequences: Sixteen Years under the DMCA, EFF, September 2014, { https://www.eff.org/files/2014/09/16/unintendedconsequences2014.pdf } {15.08.2020}

[53] { https://creativecommons.org/about/ } {30.08.2020}

[54] { https://gca.ge/index.php?cid=60 } {30.08.2020}

[55] { https://1tv.ge/news/saavtoro-uflebebi-saqartveloshi-romeli-kompania-dajarimda-50-000-larit/ } {30.08.2020}

[56] { https://1tv.ge/news/saavtoro-uflebebi-saqartveloshi-romeli-kompania-dajarimda-50-000-larit/ } {30.08.2020}

ადასტურებს, რომ გარდა სასამართლოსთვის მიმართვისა (თვითდახმარებისა), არ გვაქვს სხვა მექანიზმი, რომელიც დაარეგულირებს, დაიცავს ინტერნეტსივრცეში შემსრულებლის პირად უფლებებს.

საქართველოში საავტორო უფლების მქონე სუბიექტის დასაცავად გვაქვს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ჰარმონიზებულია საერთაშორისო და ევროპულ კანონმდებლობასთან. სწორედ ამიტომ ევროკავშირის მიერ დადებითად ფასდება საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში, მაგრამ მიუხედავად ამისა, არის პრობლემები, რაც უკავშირდება კანონის პრაქტიკაში აღსრულებას (ინტერნეტ-მეკობრეობა).[57]

საქართველომ რამდენიმე წელია დაიწყო ამ კუთხით კანონპროექტებზე მუშაობა, კერძოდ, ამის ნათელი მაგალითია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონი“. [58] აღნიშნული კანონი ადგენს - საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრონული საშუალებების ფლობის, გამოყენებისა და მომსახურების მიწოდების დროს ფიზიკურ და იურიდულ პირთა უფლებებს და მოვალეობებს, ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობებს და სანქციებს.[59]

ინტერნეტ-მეკობრეობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საზოგადოების განწყობაც. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ჩატარდა კვლევა, სადაც უმეტესობამ თქვა, რომ ეს არაა სოციალურად მიუღებელი.[60] მეკობრეობა განსაკუთრებით გავრცელებულია მუსიკალურ და აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებთან დაკავშირებით. „საავტორო უფლებათა

---

[57] ბეგიაშვილი მ.,ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2018, 5.
[58] { https://matsne.gov.ge/ka/document/view/29620?publication=37 } {30.08.2020}
[59] საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ, მუხლი 1.
[60] Hergueux J. & Jemielniak D., : Should digital files be considered a commons? Copyright infringement in the eyes of lawyers, The Information Society, 2019, 1, 10. იხ. ნაშრომში: ცინცაძე გ., ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის საშუალებები, თბილისი, 2019, 77.

ასოციაცია“ [61] არეგულირებს ავტორის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგრამ პრობლემური რჩება შემსრულებლის უფლებები, მათ საჩივრებს განიხილავს „კომუნიკაციების ეროვნული კომისია“[62]. კომისიის მუშაობის პრაქტიკა აჩვენებს, რომ ინტერნეტსივრცე მაინც რჩება პრობლემურ სივრცედ და უფლებების დასაცავად საჭიროა კონკრეტული მექანიზმის არსებობა და კონკრეტული პირების ჩართვა ამ საკითხში.[63]

ინტერნეტსივრცეში საავტორო უფლების დარღვევის ფაქტზე არსებობს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, კერძოდ, მოსარჩელე არის მედია საშუალება, რომლის ატვირთულ მასალასაც „იპარავს“ მოპასუხე; მოცემულ საქმეში მოპასუხე ვერ ადასტურებს, რომ იგი არ ტვირთავდა მის გვერდზე მოსარჩელის მასალას და ვერ დაადასტურა, რომ ამას აკეთებდნენ მომხმარებლები. [64] ამიტომაც აუცილებლად უნდა არსებობდეს ნორმები ინტერნეტსივრცესთან დაკავშირებით, რომელიც დაიცავს პროვაიდერებს მათი მომხმარებლების მიერ განხორციელებული ქმედებებისგან. [65] აღნიშნული გადაწყვეტილებაც ნათლად ადასტურებს ნორმების აუცილებლობას, რომელიც დაარეგეულირებდა ინერნეტსივრცეში წარმოშობილ დავებს.

საავტორო და მომიჯნავე უფლების მქონე სუბიექტები ცდილობენ ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების დასაცავად მიმართონ სხვადასხვა ღონისძიებებს. მაგალითად, ხშირად იყენებენ ისეთ ტექნოლოგიებს,

---

[61] { http://www.gca.ge/ } {15.08.2020}

[62] { https://www.comcom.ge/ge/ } {15.08.2020}

[63] ცინცაძე გ., ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის საშუალებები, თბილისი, 2019, 72-73.

[64] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე N2/26484-15. იხ. ნაშრომში : ჟორჟოლიანი გ, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2019, 59.

[65] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე N2/26484-15. იხ. ნაშრომში : ჟორჟოლიანი გ, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2019, 59.

რომელიც ზღუდავს ნაწარმოებზე წვდომას, ან მხოლოდ ავტორიზებულ მომხმარებლებს აქვთ ამის უფლება.[66] სწორედ ამ მიზნით არის შექმნილი არაერთი ხელშეკრულება საავტორო და მომიჯნავე უფლებების დასაცავად, მათ შორის - ინტერნეტსივრცეში. აქედან გამომდინარე, 1996 წლის დეკემბერში, დიპლომატიურ კონფერენციაზე ხელი მოეწერა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის [67] ორ ხელშეკრულებას: ,,ხელშეკრულებას საავტორო უფლებების შესახებ“[68] და ,,ხელშეკრულებას შესრულებებისა და ფონოგრამების შესახებ“ [69] . ეს ხელშეკრულებები მნიშვნელოვნად განაახლებს საავტორო უფლებებთან დაკავშირებული უფლებების საერთაშორისო დაცვას, განსაკუთრებით "ციფრულ დღის წესრიგს" და გააუმჯობესებს მეკობრეობასთან ბრძოლის საშუალებებს მთელ მსოფლიოში.[70] შემსრულებლის უფლებებს ასევე იცავს - ისმოს ჟენევის ხელშეკრულება - შემსრულებლებისა და ფონოგრამების შესახებ, რომელიც აწესრიგებს ფონოგრამის დამამზადებლისა და შემსრულებლების პირად უფლებებს.[71]

შემსრულებლის უფლებებს იცავს „2001/29/EC დირექტივა ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო უფლებების და მათთან დაკავშირებული უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ“[72], სადაც, უფლებების დაცვის სიმკაცრე წარმოადგენს ერთადერთ გზას, რომელიც დაიცავს შემსრულებლის დამოუკიდებლობასა და ღირსებას. დირექტივის თანახმად, ტექნოლოგიური ზომების დაცვამ უნდა

---

[66] ცინცაძე გ., ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის საშუალებები, თბილისი, 2019, 25.

[67] ისმო - ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია, World Intellectual Property Organization (“WIPO”) .

[68] { http://www.sakpatenti.gov.ge/media/page_files/copyright.pdf } {06.06.2020}

[69] { http://www.sakpatenti.gov.ge/media/page_files/performers_treaty_full.pdf } {06.06.2020}

[70] დირექტივა ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო უფლებების და მათთან დაკავშირებული უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ 2001/29 / EC, მუხლი 15.

[71] { http://www.sakpatenti.gov.ge/media/page_files/performers_treaty_full.pdf } {06.06.2020}

[72] დირექტივა ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო უფლებების და მათთან დაკავშირებული უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ 2001/29 / EC.

უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო ინტერაქტიული მოთხოვნით მომსახურების უზრუნველსაყოფად, ისე, რომ საზოგადოების წევრებმა შეძლონ წვდომა ნამუშევრებთან, ან სხვა საგნებთან დაკავშირებული ადგილებიდან და იმ დროს, ინდივიდუალურად აირჩიონ მათ.[73]

ინტერნეტსივრცის განუკითხაობის გამო, პრაქტიკაში ხშირია შემსრულებლის უფლებების დარღვევის შემთხვევები. ერთ-ერთ საფრთხეს წარმოადგენს ონლაინ პლატფორმა - „იუთუბი", რომელიც დაარსდა 2005 წელს, შემდეგ ის შეიძინა „გუგლმა"[74] - „იუთუბზე" წლების განმავლობაში ხდებოდა საავტორო და მომიჯნავე უფლებების დარღვევა - იტვირთებოდა ვიდეოები უნებართვოდ, ამის გამო „იუთუბს" უჩივლეს და სწორედ ამის შემდეგ გააძლიერა მან დაცვის სისტემა - ფილტრაციის გაუმჯობესებული საშუალება - "Content ID[75]" აამოქმედა.[76] აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა - გარდა არსებული საკანონმდებლო ბაზებისა, არის საჭირო რაიმე სხვა დაცვის მექანიზმი, რათა უკონტროლო სივრცე - ინტერნეტი, იყოს უსაფრთხო, როგორც შემსრულებლებისთვის, ასევე საავტორო და მომიჯნავე უფლების მქონე სხვა სუბიექტებისათვის.

ინტერნეტ-მეკობრეობასთან ბრძოლა მნიშვნელოვანია ევროპული კავშირის წევრი ქვეყნებისათვის, ვინაიდან ევროკავშირს აქვს არაერთი

---

[73] იქვე, მუხლი 53.

[74] Bridy A., Copyright's Digital Deputies: DMCA-Plus Enforcement by Internet Intermediaries, Forthcoming in John A. Rothchild (ed.), RESEARCH HANDBOOK ON ELECTRONIC COMMERCE LAW, Edward Elgar, 2016, 14. იხ. ნაშრომში: ცინცაძე გ., ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის საშუალებები, თბილისი, 2019, 20.

[75] „"Content ID" თითის ანაბეჭდს ადარებს ,,იუთუბში" ატვირთულ ვიდეოებს და მსგავსი ფაილის (სისტემა ცალ-ცალკე ამოწმებს და ამოიცნობს მუსიკას, ვიდეოსა და მელოდიას) აღმოჩენის შემთხვევაში ატყობინებს უფლების მფლობელს" - იხ. ნაშრომში: ცინცაძე გ., ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის საშუალებები, თბილისი, 2019, 21.

[76] Bridy A., Copyright's Digital Deputies: DMCA-Plus Enforcement by Internet Intermediaries, Forthcoming in John A. Rothchild (ed.), RESEARCH HANDBOOK ON ELECTRONIC COMMERCE LAW, Edward Elgar, 2016, 14. იხ. ნაშრომში: ცინცაძე გ., ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის საშუალებები, თბილისი, 2019, 20.

დირექტივა[77] ამ საკითხთან დაკავშირებით, ეს ასახულია დირექტივების წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობაშიც. შესაბამისად, ეს თემა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში.[78]

ინტერნეტდელიქტთან დაკავშირებით საქართველოში არის საინტერესო სასამართლო პრაქტიკა. კერძოდ, არსებობს უზენაესი სასამართლოს 2000 წელს მიღებული გადაწყვეტილება, სადაც დავა ინტერნეტსივრცეს ეხება; დავის საგანია - დომენის, როგორც სასაქონლო ნიშნის გამოყენება.[79] ყველაზე საინტერესო მოცემულ საქმეში სასამართლოს განმარტებაა: არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც აწესრიგებს ინტერნეტსივრცეს (მსგავსი ტიპის დავებს).[80] მოცემული საქმე და უზენაესი სასამართლოს განმარტება ამ საქმესთან დაკავშირებით ადასტურებს, რომ აუცილებელია პრევენციული ღონისძიებები.

---

[77] ევროპარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 8 ივნისის დირექტივა 2000/31/EC, საინფორმაციო საზოგადოების მომსახურების გარკვეული ასპექტების, კერძოდ შიდა ბაზარზე ელექტრონული კომერციის შესახებ (დირექტივა ელექტრონული კომერციის შესახებ) [2000] OJ L178/1 ;
DIRECTORATE GENERAL FOR INTERNAL POLICIES POLICY DEPARTMENT A: ECONOMIC AND SCIENTIFIC POLICY, Providers Liability: From the eCommerce Directive to the future, 2017, 16, ხელმისაწვდომია
{http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/IDAN/2017/614179/IPOL_IDA(2017)614179_EN.pdf };
ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 22 მაისის დირექტივა 2001/29/EC, საინფორმაციო საზოგადოებაში საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების ზოგიერთი ასპექტის ჰარმონიზაციის შესახებ [2001] OJ L167/10 ;
ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 17 აპრილის დირექტივა 2019/790, ერთიან ციფრულ ბაზარზე საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებებისა და 96/9/EC და 2001/29/EC დირექტივებში შესწორებების შეტანის შესახებ [2019] OJ L130/92 ;
იხ. ნაშრომში: ცინცაძე გ., ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის საშუალებები, თბილისი, 2019, 37.

[78] ცინცაძე გ., ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის საშუალებები, თბილისი, 2019, 37.

[79] ჟორჟოლიანი გ, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2019, 50.

[80] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 11 ოქტომბრის განჩინება საქმეზე №: 3კ/589. იხ ნაშრომში : ჟორჟოლიანი გ, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2019, 50.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, მოცემული თემის აქტუალურობა და პრობლემურობა თანამედროვე სამყაროს აყენებს გამოწვევების წინაშე და რაც უფრო ვითარდება ტექნოლოგიები, მით უფრო გვიწევს ფიქრი - როგორ იყოს ეს უსაფრთხო და როგორ დავიცვათ ადამიანის უფლებები ვირტუალურ სამყაროში - ინტერნეტსივრცეში. ამიტომაც, აუცილებელია იურისტებმა იმსჯელონ თუ რა მოქმედებებია საჭირო შემსრულებლის უფლებების დასაცავად.

1.2. შემსრულებლის პირადი უფლებები

შემსრულებლებს აქვთ უფლება, რომ აკრძალონ ნებართვის გარეშე მათი ცოცხალი შესრულების ჩაწერა, გადაცემა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომად გახდომა, რაშიც იგულისხმება მათ შორის ინტერნეტ სივრცეში განთავსება; ასევე უფლება, რომ აკრძალონ მათი შესრულების ჩანაწერის რეპროდუცირება. ეს უფლებები შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი ჰონორარის მოთხოვნის ფორმით და არა აკრძალვის უფლების გამოყენებით. ნაწარმოებების ინდივიდუალური ბუნების გამო, არაერთი ქვეყნის და, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობა, შემსრულებლებს არაქონებრივ უფლებებს ანიჭებს. მაგალითად, სახელის უფლების, შესრულებაში ცვლილების შეტანის, ასევე შემსრულებლის პატივის, ღირსების, ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის (რეპუტაციის პატივისცემის უფლება) აღკვეთისათვის.[81]

შემსრულებლის პირად უფლებებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, რომლის მიხედვითაც

[81] საქპატენტის სასწავლო ცენტრი, Dl101GE20S1 - კურსზე მიღებული სასწავლო მასალა.

შემსრულებლის პირად უფლებებში მოიაზრება: სახელის უფლება და უფლება, დაიცვას შესრულება დამახინჯებისაგან, ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს შემსრულებლის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია.[82] მოცემული განმარტების მაგალითია, ქართველი პოეტის - ზურაბ რთველიაშვილის პოეზია, რომელსაც საუნდ-პოეზია ეწოდება, მისი მთავარი არსი შესრულებაშია, მაგ. ის კითხულობს საკუთარ ლექსს „ჰაერი“, სადაც მან მხოლოდ ორჯერ ჩაისუნთქა და ამოისუნთქა, სწორედ ამიტომ ეწოდა ამ ლექსს „ჰაერი“.[83] ძალიან მარტივია საუნდ-პოეზიის შესრულების დამახინჯება ინტერნეტსივრცეში, როდესაც კანონმდებლობა ვერ არეგულირებს ციფრულ სამყაროს.

საინტერესოა, რა პასუხისმგებლობას ითვალისწინებს შემსრულებლის (მომიჯნავე უფლების მქონე სუბიექტის) პირადი უფლებების დარღვევა? შემსრულებლის პირადი უფლებები დაცულია: ბერნის, რომის, ბრიუსელის, ჟენევის და სხვა კონვენციებით; ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით; საქართველოს კონსტიტუციით; საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ - ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით, ზიანის ანაზღაურების ნაცვლად იმ შემოსავლის ჩამორთმევა, რომელიც დამრღვევმა მიიღო უფლებების დარღვევის შედეგად, კომპენსაცია არანაკლებ მისაღები ფულადი ანაზღაურების ათმაგი ოდენობისა;[84] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით - ჯარიმა 500 იდან 3 000 ლარამდე, განმეორებითი ჩადენის შემთხვევაში - ჯარიმა 3000-იდან 5000 ლარამდე;[85] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით[86] - 3 წლამდე

[82] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 47.
[83] ჯორბენაძე ს., საავტორო უფლებები ცხოვრებაში, თბილისი 2013, 64.
[84] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 59.
[85] საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 157[1].
[86] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 189.

თავისუფლების აღკვეთა.[87] საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავისი დარღვეული, შეზღუდული, წართმეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა-აღდგენისათვის მიმართოს სასამართლოს.[88] მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტუალური საკუთრება დაცულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით, სისხლის სამართლის კოდექსით და ა.შ. შემსრულებლის პირადი უფლებები მაინც მეტად ირღვევა ინტერნეტსივრცეში და უფრო მეტიც, დამრღვევთა უმრავლესობა დაუსჯელი რჩება.

აღნიშნულ პრინციპს ითვალისწინებს ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც, რომლის თანახმადაც ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა.[89] საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების, ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად, მაგრამ ჩნდება კითხვა, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში გაწერილია ჯარიმა უფლების დარღვევისათვის და ა.შ - რატომ არის ხშირად დაუფიქსირებელი შემსრულებლის ინტერნეტსივრცეში დარღვეული უფლება? ხშირად შესაძლებელია, შემსრულებელმა ვერც კი გაიგოს, რომ, მაგალითად, ინტერნეტსივრცესში ხდება მისი შესრულების დამახინჯება და, შესაბამისად, ვერც მიმართავს სასამართლოს. მაგალითად, შესაძლებელია, მოხდეს შესრულების დამახინჯება, აიტვირთოს ის ინტერნეტსივრცეში და თავად შემსრულებელმა ეს ვერც კი გაიგოს, ან გაიგოს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. სასამართლოს გარდა, აღნიშნულ შემთხვევაში, შემსრულებელს არ გააჩნია სხვა სახის ბერკეტი და არ არსებობს რაიმე პრევენციული ხასიათის ღონისძიება, რომელიც მას დაიცავს ამგვრი დარღვევისგან.

---

[87] { http://www.gca.ge/index.php?cid=72 } {15.08.2020}
[88] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 42.
[89] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 2.

1.2.1. სახელის უფლება

შემსრულებლისათვის (მსახიობების, მომღერლების, მუსიკოსების და მოცეკვავეების) შემოქმედებითი პროცესის ნაწილია საჯარო პრეზენტაციები. მათ უნდა ჰქონდეთ უფლებები პირველივე შესრულების ჩანაწერებიდან, ხმისა და სურათების მიღებიდან. ინტერნეტსივრცის არსებობამ განაპირობა შესრულების უნებერათვო კოპირება. სწორედ ამიტომ 1996 წელს WIPO– მ მიიღო ახალი საავტორო ხელშეკრულება, მაგრამ WIPO-ს წევრები ვერ შეთანხმდნენ აუდიოვიზუალური ნაწარმოებების შემსრულებლების შესახებ. 2000 წელს იყო მეორე მცდელობაც, რომელიც აღმოჩნდა წარუმატებელი. ბევრ ქვეყანას აქვს შიდა კანონმდებლობა, რომელიც ანიჭებს გარკვეულ უფლებებს შემსრულებლებს აუდიოვიზუალური ნაწარმოებებში, მათ შორის გადასახადის უფლების ჩათვლით, მაგრამ საინტერესოა, რა ხდება ინტერნეტსივრცეში, როდესაც ამ ნამუშევრების კოპირება, განაწილება, ან გადაცემა ხდება, არ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც აკონტროლებს, თუ როგორ და როდის გამოიყენება შემსრულებლის ნამუშევრები; აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტსივრცეში შემსრულებლის უფლებების დაცვა მართლაც პრობლემურია.[90]

შემსრულებლის სახელის უფლება განისაზღვრება კანონმდებლობით - ისეთ შესრულებაზე, რომელიც შემსრულებლის მიერ შექმნილია სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს, ან დასაქმების დავალების შესრულების წესით, შემსრულებელს ეკუთვნის სახელის

[90] { https://www.wipo.int/pressroom/en/briefs/performers.html } {15.08.2020}

უფლება. ასეთი შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება ეკუთვნის პირს, რომელთანაც თავად შემსრულებელს აქვს შრომითი ურთიერთობა.[91]

ინტერნეტსივრცეში სახელის უფლების დარღვევის ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს ნაწარმოების განთავსება, მაგალითად, „იუთუბზე“ შეიძლება აიტვირთოს შემსრულებლის შესრულება და არ იყოს მითითებული მისი სახელი - როგორც შემსრულებლისა. აღნიშნული უფლების დარღვევის ფაქტის შესახებ შესაძლოა, ვერც გაიგოს თავად შემსრულებელმა, ვინაიდან დღევანდელი ციფრული სამყარო იმდენად ფართოა, რომ შეიძლება, უბრალოდ, ვერ მიაგნოს საკუთარ შესრულებას, რომელიც სახელის უფლების დარღვევით იქნება ატვირთული. საინტერესო მაგალითია, შოუბიზნესში ორი მუსიკალური ჯგუფის გამოჩენა, რომელიც ერთი და იმავე სახელით სარგებლობდა - „ბლუ“, პირველი 1973 წელს შეიქმნა, ხოლო მეორე - 2000 წელს, 1973 წელს შექმნილმა - „ბლუმ“ შიტანა სარჩელი სასამართლოში მათი სახელის უნებართვოდ სარგებლობისათვის და მოითხოვეს ზიანის ანაზღაურება 5 მილიონი გირვანქა სტერლინგის ოდენობით, საბოლოოდ დავა მორიგებით დასრულდა.[92]

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ვიფიქროთ პრევენციულ ღონისძიებებზე, რის შედეგადაც შემსრულებლის პირადი უფლებები იქნება დაცული ინტერნეტსივრცეში. ვინაიდან უამრავი მაგალითია შემსრულებლის სახელის უნებებართვოდ გამოყენების, რასაც, რა თქმა უნდა, თან ახლავს ზიანიც.

[91] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 47.
[92] ჯორებანძე ს., საავტორო უფლებები ცხოვრებაში, თბილისი 2013, 260.

1.2.2. შესრულების დაცვა ყოველგვარი დამახინჯებისგან

შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებაა შესრულების დაცვა ყოველგვარი დამახინჯებისაგან, რაც დღეს საკმაოდ გავრცელებულია, როგორც სხვადასხვა დაწესებულებებში (მაგ. რესტორნებში, ან გასართობ ცენტრებში), ასევე ინტერნეტსივრცეში. მართალია, შესრულების დაცვა დამახინჯებისაგან არის კანონით გაწერილი უფლება[93] შემსრულებლისა, მაგრამ რეალურად ამ უფლების დაცვა და, მით უმეტეს, ინტერნეტსივრცეში, არის საკმაოდ რთული. მაგალითად, როგორც მომღერლის, ასევე მოცეკვავის, ან მსახიობის შესრულების დამახინჯება შეიძლება მოხდეს და შემდეგ ეს აიტვირთოს ინტერნეტში. მაგალითად, საერთაშორისო თამაშების ერთ-ერთმა ფირმამ უნებართვოდ გამოიყენა ჰოლივუდის ვარსკლავის - არნოლდ შვარცნეგერის სახე და ხმა ფილმიდან „ტერმინატორი“, რის გამოც მსახიობმა მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება.[94] მსგავსი პირადი უფლების დარღვევის ფაქტი ინტერნეტსივრცეში შეიძლება ნებისმიერ შემსრულებლს ჰქონდეს, მაგრამ უბრალოდ ვერ აღმოაჩინოს საერთოდ, ან დროულად.

შემსრულებელი ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებს სრულად დაიცვას მისი შესრულება, ამიტომაც მარტივია პირადი უფლებები დაერღვას ინტერნეტსივრცეში, დაამახინჯონ, ან უნებართვოდ გამოიყენონ შესრულება, შემდეგ გავრცელდეს ეს დამახინჯებული შესრულება და რეპუტაცია შეელახოს შემსრულებელს, ამიტომაც აუცილებელია, არსებობდეს პრევენციული ხასიათის ღონისძიებები.

შესაბამისად, შემსრულებლის პირადი უფლებების დასაცავად ინტერნეტსივრცეში აუცილებელია შეიქმნას სხვადასხვა რეგულაციები როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე პროგრამულ დონეზე

[93] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 47.
[94] ჯორბენაძე ს., საავტორო უფლებები ცხოვრებაში, თბილისი 2013, 263.

(ინტერნეტპროგრამები), როგორიც არის - Content Id და ERG. მსგავსი პროგრამების არსებობა იქნებოდა შემსრულებლის უფლებების დაცვის გარანტი და აღკვეთდა დარღვევის ფაქტებს.

1.3. შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება

შემსრულებლის განსაკუთრებულ უფლებებს მის შესრულებაზე განმარტავს საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. შემსრულებელს გააჩნია შესრულების გამოყენების განსაკუთრებული უფლება, რაც ნიშნავს უფლებას, ნება დართოს, ან აკრძალოს: ადრე ჩაწერილი შესრულების ჩაწერა, ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების რეპროდუცირება, შესრულების ჩაწერის გადაცემა ეთერში, ან კაბელით (თუ თავდაპირველად ამ შესრულების ჩაწერა არ მომხდარა მოგების მიღების მიზნით), ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების ორიგინალის, ან ასლების გავრცელება.[95] შემსრულების განსაკუთრებული უფლება შეიძლება სხვა პირს გადაეცეს, მაგ. როდესაც იდება ხელშეკრულება შემსრულებელსა და აუდიოვიზუალური ნაწარმოების დამამზადებელს შორის აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნის თაობაზე.[96]

ინტერნეტსივრცეში შემსრულებლის განსაკუთრებული უფლების დარღვევის ფაქტია, როდესაც ხდება უნებართვოდ ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების გავრცელება - ატვირთვა ინტერნეტსივრცეში, ეს შეიძლება

[95] საქართველოს კანონი საავტორო და მომოიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 47.
[96] იქვე, მუხლი 47.

იყოს სხვადასხვა არხის საშუალებით, ერთ-ერთი ასეთია ცნობილი ონლაინ პლატფორმა - „იუთუბი“[97].

ინტერნეტსივრცეში უნებართვოდ ატვირთულ შესრულებას შეუძლია ზიანი მოუტანოს შემსრულებელს, ეს ბუნებრივიციაა ინტერნეტის ბუნებიდან გამომდინარე, რადგანაც ნებისმიერ პირს შეუძლია, მარტივად დარეგისტრირდეს და ძალიან მარტივად ატვრთოს ნებისმიერი მასალა. აქედან გამომდინარე, შემსრულებლის პირადი უფლებები დაირღვევა, თუკი მათი შესრულება გავრცელდება უნებართვოდ ინტერნეტსივრცეში, ან დამახინჯებული ვერსიით, რადგანაც ინტერნეტსივრცეში მნიშვნელობა აქვს არა იმდენად ატვირთულ მასალას, რამდენადაც მისი გავრცელების სიმარტივეს, რამაც შესაძლებელია, დააზარალოს შემსრულებელი.[98]

შესაბამისად, მომიჯნავე უფლების მქონე სუბიექტებში ყველაზე დაუცველი გამოდის შემსრულებელი, რადგანაც მას არავითარი საკანონმდებლო რეგულაცია არ გააჩნია, ციფრულ სამყაროში დაიცვას პირადი უფლებები. შემსრულებლებთან შედარებით, ავტორები მეტად დაცულები არიან, რადგანაც ყველა არსებული დაცვის პროგრამები ჯერჯერობით მხოლოდ ავტორებზეა მორგებული. ეს ფაქტი ნათლად ასახავს, თუ რაოდენ საჭიროა, არსებობდეს სპეციალური ნორმა ინტერნეტსივრცეზე. შესაბამისად, საჭიროა შეიქმნას რაიმე ეფექტური დაცვის საშუალება - სპეციალურად შემსრულებლებისთვის.

---

[97] ცინცაძე გ., ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის საშუალებები, თბილისი, 2019, 18 - „ყველაზე წარმატებული კომპანია, ,,იუთუბი“, 2005 წელს დაარსდა და მომდევნო წელს ,,გუგლმა“ 1,65 მილიარდ დოლარად შეისყიდა. წლების განმავლობაში ,,იუთუბზე“ იტვირთებოდა და ხელმისაწვდომი ხდებოდა არალიცენზირებული პროდუქცია.“

[98] ჟორჟოლიანი გ, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2019, 30.

1.3.1.შესრულების ჩაწერის აკრძალვა/ნების დართვა

შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებაა - შესრულების ჩაწერის აკრძალვა/ნების დართვა. ეს ნებართვა შეიძლება გაიცეს მხოლოდ შემსრულებლის მიერ, ხოლო თუ არის შემსრულებელთა კოლექტივი - ამ კოლექტივის ხელმძღვანელის მიერ, წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. [99] აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ერთ-ერთი ქართველი შემსრულებლის - ეკა კვალიაშვილის შემთხვევა, რომლის შესრულებაც უნებართვოდ გამოიყენეს, შემდეგ ის გავრცელდა ინტერნეტსივრცეში და ნახა თავად შემსრულებელმა. ეკა კვალიაშვილი ამ ფაქტთან დაკავშირებით აცხადებს: „სრულიად შემთხვევით წავაწყდი სოციალურ ქსელში ჩემს სიმღერას ლუბა უსპენსკაიას შესრულებით. არც უფლება, არც კითხვა, შეიძლება თუ არა... ამ სიმღერაზე აფანატებს სრულიად რუსეთი. ასე არ შეიძლება“. [100] ეკა კვალიაშვილს აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სასამართლოსთვის არ მიუმართავს[101], მაგრამ ეს არის ნათელი მაგალითი, თუ როგორ ირღვევა შემსრულებლის პირადი უფლებები.

ინტერნეტსივრცეში ნაწარმოებების და შესრულების განთავსებასთან დაკავშირებით ხშირად სვამენ კითხვებს, მაგ. შეიძლება თუ არა ატვირთონ ფოტო ან ვიდეო ნებართვის გარეშე, პასუხი თითქმის ყველგან ერთნაირია - გააჩნია ადგილობრივ კანონმდებლობას და რის ატვირთვას აპირებ.[102] რადგანაც არ არსებობს კანონმდებლობა ან რაიმე სხვა მექანიზმი ინტერნეტსივრცეში უფლებების დასაცავად, ზიანდებიან

---

[99] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 47.

[100] { https://fortuna.ge/fortuna/post/eka-kvaliashvilis-simghera-luba-uspenskaiam-unebartvod-sheasrula } {20.08.2020}

[101]{ https://www.youtube.com/watch?v=Fgt_VQPRuIs } {30.08.2020}

[102] { https://www.avvo.com/legal-answers/posting-videos-of-other-people-without-permission-174067.html } {30.08.2020}

შემსრულებლები. შესაბამისად, აუცილებელია ყველა ეროვნულ კანონმდებლობაში შემუშავდეს ნორმები, რომელიც ინტერნეტსივრცეში დაიცავს, როგორც საავტორო უფლების მქონე სუბიექტს, ასევე მომიჯნავე უფლების მქონე სუბიექტს - შემსრულებელს. აღნიშნული შეამცირებს ინტერნეტმეკობრეობის ფაქტებს.

განხილული მაგალითებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ხშირად ხდება შესრულების უნებართვოდ ჩაწერა, მათი განთავსება ინტერნეტსივრცეში, რასაც შემსრულებლისათვის მოაქვს მორალური და მატერიალური ზიანი. შემსრულებლის განსაკუთრებული უფლებების დასაცავად ინტერნეტსივრცეში აუცილებელია შესაბამისი დაცვის პროგრამები.

1.3.2. ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების რეპროდუცირება

საქართველოს კანონმდებლობით, შემსრულებელს აქვს განსაკუთრებული უფლება, ნება დართოს, ან აკრძალოს ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების რეპროდუცირება.[103] რეპროდუცირების უფლება გულისხმობს ფონოგრამის ნებისმიერი სახით, ან ფორმით, პირდაპირ, ან ირიბ რეპროდუცირებაზე ნებართვის მიცემის უფლებას.[104] საქართველოში შემსრულებლის მიერ ფონოგრამის პირველი გაყიდვით ამოიწურება ქვეყნის ფარგლებში შემსრულებლის უფლება მის შემდგომ გავრცელებაზე.[105] შემსრულებელს ასევე აქვს უფლება შესრულების გავრცელების (გავრცელების უფლება გულისხმობს ფონოგრამის ორიგინალის, ან ასლების საჯაროდ ხელმისაწვდომობაზე ნებართვის მიცემის უფლებას) და შესრულების გაქირავების (გაქირავების უფლება წარმოადგენს ფონოგრამის ორიგინალის ან ასლების საჯაროდ კომერციულ გაქირავებაზე ნებართვის მიცემის უფლებას) უფლება.[106] მიუხედავად კანონმდებლობისა, თუკი მაინც გავრცელდა ინტერნეტსივრცეში რეპროდუცირებული შესრულება, ამით დაირღვევა შემსრულებლის განსაკუთრებული უფლება და მას მოუწევს, მიმართლოს სასამართლოს, ვინაიდან არ არსებობს პრევენციული ხასიათის ღონისძიება აღნიშნულ საკითხზე.

საინტერესოა რუსი მომღერლის - ალექსანდრე როზენბაუმის მაგალითი: მან უჩივლა ერთ-ერთ ცნობილ ფირმას, რადგანაც ფირმა ყიდდა მუსიკალურ ცენტრებს, რომელსაც მოყვებოდა დისკი, დისკზე იყო მომღერლის შესრულებით 26 ცნობილი სიმღერა. ალექსანდრე როზენბაუმმა

---

[103] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 47.
[104] ისმოს ხელშეკრულება შესრულებისა და ფონოგრამების შესახებ, მუხლი 7.
[105] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 47.
[106] ისმოს ხელშეკრულება შესრულებისა და ფონოგრამების შესახებ, მუხლი 8-9.

განაცხადა, რომ მისი შესრულებით სიმღერების გამოყენებაზე ფირმას ნებართვა არ აუღია და ამიტომაც უნდა შეეწყვიტა დისკების გავრცელება.[107] ინტერნეტსივრცეში ბევრად მარტივია გავრცელდეს შესრულება და ნახოს ეს მილიონობით მომხმარებელმა, მატერიალურ ზიანთან ერთად ამას მორალური ზიანიც მოაქვს შემსრულებელისათვის. ამასთანავე, აღნიშნულ საკითხზე არსებობს განსხვავებული მისაზრებაც, რომლის ავტორია - ჰანს ჰერმან ჰოპე, ის მიიჩნევს, რომ თუ ავტორის, ან შემსრულებლის უფლებებს არღვევ, ამით არაფერი არ შავდება - „მე ვუსტვენ მელოდიას, ან ვწერ პოემას, შენ ისმენ ამ მელოდიას, ან კითხულობ ამ პოემას, და მათ რეპროდუცირებას ან კოპირებას ახდენ. ამ დროს შენ მე არაფერს მართმევ. მე ისევე შემიძლია სტვენა ან წერა, როგორც მანამდე შემეძლო. უფრო მეტიც, მთელმა სამყარომ შეიძლება დამაკოპიროს და მე მაინც არაფერი წამერთმევა“.[108]

ნაწარმოების რეპროდუცირებასთან დაკავშირებით, მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში - Lagardere v. SPRE ფონოგრამის რეპროდუცირების გამო კომპენსაციის მიკუთვნების საკითხი შემსრულებლის სასარგებლოდ გადაწყვიტა.[109]

შესაბამისად, შემსრულებლის განსაკუთრებული უფლება, რომელსაც ითვალისწინებს კანონმდებლობა [110] : ნება დართოს, ან აკრძალოს ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების რეპროდუცირება, სრულიად გამოუსადეგარია ინტერნეტსივრცისათვის. საინტერესო იქნება სხვადასხვა დაცვის პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვას ინტერნეტსივრცეში. აუცილებელია, შეიქმნას ახალი

[107] ჯორბენაძე ს., საავტორო უფლებები ცხოვრებაში, თბილისი 2013, 261.
[108] { https://www.girchi.com/ge/media/news/2033-intelektualuri-sakutrebis-upleba-realuri-sakutrebis-uplebis-cinaaghmdeg } {30.08.2020}
[109] Lagardere v. SPRE, 14.07.2005, Case C – 192/04.
[110] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 47.

დაცვის ღონისძიება, რომელიც მორგებული იქნება ციფრულ სამყაროზე და დაიცავს შემსრულებელს.[111]

1.3.3. ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების ორიგინალის ან ასლების გავრცელება

როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი კანონმდებლობით[112], შემსრულებელს აქვს განსაკუთრებული უფლება - ნება დართოს, ან აკრძალოს ფონოგრამაზე ჩაწერილი შესრულების ორიგინალის, ან ასლების გავრცელება. საქართველოში შემსრულებლის მიერ ფონოგრამის პირველი გაყიდვით ამოიწურება ქვეყნის ფარგლებში შემსრულებლის უფლება მის შემდგომ გავრცელებაზე.[113]

შესრულების უნებართვოდ გავრცელების საინტერესო მაგალითი აქვს მომღერალ მადონას, როდესაც ის ჯერ კიდევ მუშაობდა სიმღერაზე, რომლის პრემიერაც მალე უნდა ყოფილიყო, სიმღერამ გაიჟღერა რადიომაუწყებლობების ეთერში, რამაც შემსრულებლის აღშფოთება გამოიწვია. [114] ანალოგიურად შეიძლება გაჟღერდეს ინეტრნეტსივრცეში სიმღერები და ვერც კი მიხვდეს შემსრულებელი თუ ვინ, როგორ და როდის გაავრცელა მისი შესრულება ინეტრნეტში, შესაბამისად, ის დაუცველია ამ ფაქტის წინაშე.

---

[111] ბეჟაშვილი ზ., ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების როლი საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში, თბილისი, 2013, 6.

[112] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.

[113] იქვე, მუხლი 47.

[114] ჯორბენაძე ს., საავტორო უფლებები ცხოვრებაში, თბილისი 2013, 262.

შესრულების ორიგინალის, ან ასლების უნებართვოდ გავრცელებით ინტერნეტსივრცეში, შემსრულებელს ადგება ბევრად დიდი ეკონომიკური და მორალური ზიანი, ვიდრე ეს არის ინტერნეტს გარეთ - „რეალურ სამყაროში“. [115] შესაბამისად, შესრულების ორიგინალის, ან ასლის უნებართვოდ გავრცელება იქნება დელიქტური შემსრულებლისათვის და აუცილებელია ფიქრი ინტერნეტსივრცის რეგულაციაზე, დაცვის ღონისძიებების შემუშავება, პროგრამული უზრუნველყოფა.

[115] ჟორჟოლიანი გ, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2019, 36.

თავი II. პრევენციული ღონისძიებები შემსრულებლის უფლებების დასაცავად

ინტერნეტსივრცის არსებობამ განაპირობა მისი უკონტროლობა და, შესაბამისად, გაჩნდა ცნება - ინტერნეტდელიქტი. რა არის ინტერნეტდელიქტი? ხსენებული ტერმინის დეფინიცია არ არსებობს, მისი განმარტება ყველა კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს ინდივიდუალურად. [116] ინტერნეტდელიქტი წარმოიშობა ინტერნეტსივრცეში სხვადასხვა კომუნიკაციების საშუალებებით, ამიტომაც არის ის უკონტროლო და შეუზღუდავი.[117] სხვადასხვა ქვეყანაში იყენებენ სხვადასხვა ტერმინს, მაგალითად, აშშ-ში გამოიყენება - კიბერდელიქტი (Cyber Tort)[118], ხოლო ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, კონკრეტულად კი გერმანიაში არის განსხვავებული ტერმინი - ინტერნეტდელიქტი (Internetdelikt[119]).[120]

შემსრულებლებისათვის, სხვადასხვა ქვეყანაში, ხელშეკრულება უზრუნველყოფს მათ დამატებით შემოსავალს. თანხა არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა ხელშეკრულებაა მოქმედი ეროვნულ კანონმდებლობაში და ხორციელდება პრაქტიკაში. ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოები

---

[116] Świerczyński M., Electronic torts/delicts in the Rome II regulation, Tort Law in Poland, Germany and Europe, eds. Heiderhoff B./ Zmij G., sellier. european law publishers, Munich 2009, 174. იხ. ნაშრომში : ჟორჟოლიანი გ, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2019, 8.

[117] იქვე, 8.

[118] Mosier G./Fitzgerald T., Cyber Torts: Common Law and Statutory Restraints in the United States, Journal ofInternational Commercial Law and Technology, Vol.2, Issue 1, 2007, 17. იხ. ნაშრომში : ჟორჟოლიანი გ, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2019, 9.

[119] Rauscher T., Internationales Privatrecht: Mit internationalem Verfahrensrecht, C.F. Müller, Heidelberg 2017, 368. იხ. ნაშრომში : ჟორჟოლიანი გ, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2019, 9.

[120] იქვე, 9.

ჰონორარს გადაიხდიან უცხოური აუდიოვიზუალური სპექტაკლების გამოყენებისათვის, ვარაუდობენ, რომ ამ შემოსავლის დიდი ნაწილი გადავა იმ შემსრულებლებზე, რომლებმაც ძალიან მცირე შემოსავალი მიიღო. [121]

სხვადასხვა ქვეყანაში შემსრულებლის უფლებები დაცულია განსხვავებულად, მაგალითად, აშშ–ში არსებობს საავტორო უფლებების ოფისი, რომელიც საავტოროსთან ერთად იცავს შემსრულებლის უფლებებსაც, თუმცა არა ინტერნეტსივრცეში.[122] აშშ-ში შემსრულებლების უფლებები გადაეცემათ მწარმოებლებს, ასევე მსახიობთა ანაზღაურებას უზრუნველყოფს პროფკავშირი - Screen Actors Guild. აშშ-სგან განსხვავებულია ევროპის პრაქტიკა - ზოგიერთ ქვეყანაში შემსრულებლის უფლებებს განსაზღვრავს კანონმდებლობა, ხოლო ზოგიერთში განისაზღვრება ხელშეკრულებით. მაგალითად, ბრიტანეთში არ არსებობს ამის შესახებ კანონმდებლობა, რის გამოც იდება ხელშეკრულებას შემსრულებელსა და მწარმოებელს შორის.[123]

ინტელექტუალური სამართლის პროფესორი Graeme B. Dinwoodie მის ერთ-ერთ წიგნში საუბრობს მეორეული პასუხისმგებლობის წესებზე, უსაფრთხო ნავსადგურის სისტემაზე (safe harbours), რომლებიც ევალდებათ პროვაიდერებს. პროფესორი Graeme B. Dinwoodie - ის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ არასებობს არაერთი საერთაშორისო სტანდართი, აუცილებელია ეროვნული მიდგომების გამკაცრება.[124]

ადვოკატი და ინტელექტუალური სამართლის მკვლევარი - Guy Tritton, მიიჩნევს, რომ ინტელექტუალური საკუთრება უნდა განიხილებოდეს თანამედროვე სამარათლო პრაქტიკით, ადარებს ევროპულ იურიდიულ პოზიციას ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობას, ეხება არა მხოლოდ

---

[121] { https://www.wipo.int/pressroom/en/briefs/performers.html } {15.08.2020}
[122] { https://www.uspto.gov/learning-and-resources/ip-policy/musicians-and-artists-profile } {20.08.2020}
[123] { https://www.wipo.int/pressroom/en/briefs/performers.html } {15.08.2020}
[124] G. Dinwoodie ed., Secondary Liability of Internet Service Providers.

ინტელექტუალური საკუთრების კანონს, არამედ პრაქტიკულ საგნებს, როგორიცაა განხორციელება, ლიცენზირება, ფრენშაიზინგი და ერთობლივი საწარმოები. იკვლევს ურთიერთობას ინტელექტუალურ საკუთრებასა და ევროკავშირს შორის და სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც მიზნად ისახავს წევრი სახელმწიფოების დასაცავად.[125]

ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალი არის მრავალმხრივი. იგი გახდა უფრო და უფრო მნიშვნელოვანი და ხშირად დავის სფერო, განსაკუთრებით პატენტის, საავტორო უფლებებისა და სასაქონლო ნიშნის არენაზე. გარდა ამისა, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში უფრო ჟღერს დომენის დაცვა, სახელები, მონაცემთა ბაზა, პროგრამული უზრუნველყოფა.[126] შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული არის სიახლე, საჭიროებს, პირველ რიგში, შესაწავლას, შემდეგ კი კარგად დაცვას.

საავტორო უფლების მქონე სუბიექტები - შემქმნელები არ არიან ვალდებულნი, თავიანთი ნამუშევრები გაასაჯაროონ, მიუხედავად ამისა, ასაჯაროებენ. ავტორებს ასევე არ მოეთხოვებათ, დარეგისტრირონ თავიანთი ნამუშევრები. მათ არ სჭირდებათ თავიანთ ნამუშევარზე საავტორო უფლებების შესახებ შეტყობინების, ან საავტორო უფლებების სიმბოლოს განთავსება საავტორო უფლებების დაცვის მოსაპოვებლად და ეს არ გააუფასურებს მათ ორიგინალ ნამუშევარს. მაგრამ იმისათვის, რომ არ დაირღვეს მათი უფლებები ინტერნეტსივრცეში, აუცილებელია დაცვის ღონისძიებები.[127]

მიუხედავად აღნიშნულისა, იბადება კითხვა - რა ხდება მაშინ, როცა შემსრულებლების პირადი უფლებები ირღვევა ინტერნეტსივრცეში? ვინ, ან რა აკონტროლებს ამას? რა ბერკეტები აქვს შემსრულებელს, დაიცვას თავი

[125]Tritton Guy, Intellectual Property in Europe, 4.
[126] Jonathan Franklin, International Intellectual Property law, 4.
[127] { https://www.copyrighted.com/blog/copyright-infringement } {30.08.2020}

ინტერნეტმეკობრეობისგან? ზემოთ აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ, შემსრულებლის უფლებების დაცვის კუთხით, ინტერნეტსივრცეში იკვეთება რამდენიმე ხარვეზი: პირველი - ეს არის ინტერნეტსივრცის შესახებ კანონმდებლობის არარსებობა; მეორე - ეს არის თვითდახმარება, შემსრულებელს მისი პირადი უფლებების დასაცავად ინტერნეტსივრცეში აქვს მხოლოდ ერთი გზა - მიმართოს სასამართლოს და ამტკიცოს, რომ დაირღვა მისი უფლება; მესამე - ეს არის პროგრამული უზრუნველყოფა, დაცვის ტექნოლოგიები, ინტერნეტსივრცესაც არ გააჩნია შესაბამისი დაცვის პროგრამები, ან გააჩნია, მაგრამ საკმარისად ვერ იცავს შემსრულებელს. აქედან გამომდინარე საჭიროა, არსებობდეს პრევენციული ხასიათის ღონისძიებები, რომელთა შედეგად იქნება ნაკლები ფაქტი ინტერნეტსივრცეში უფლებების დარღვევისა.

2.1. კანონმდებლობა ინტერნეტსივრცეში შემსრულებლის უფლებების დასაცავად

შემსრულებლის უფლებების დასაცავად შექმნილი ადგილობრივი[128] და საერთაშორისო კანონმდებლობის [129] მიუხედავად, არ არსებობს კონკრეტული კანონი, ან ნორმა, რომელიც დაიცავდა ინტერნეტსივრცეში შემსრულებლის უფლებებს. მნიშვნელოვან როლს ითამაშებს სასამართლო პრაქტიკის გაღრმავება ამ კუთხით, რაც ზეგავლენას მოახდენს არსებულ კანონმდებლობაზე. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციის სახით შეიძლება

[128] საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.

[129] ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია (1996);

ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის კონვენცია;

შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (რომის კონვენცია) 1961;

ითქვას, რომ საჭიროა, არსებობდეს ნორმა, რომელიც, მაგალითად, იქნებოდა „საქართველოს კანონში საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ და ექნებოდა პრევენციული ხასიათი. მაგალითად, ნორმის სახით მითითება კანონში, რომ ინტერნეტსივრცეში შესრულების უნებართვოდ განთავსება, ან დამახინჯება არღვევს შემსრულებლის პირად უფლებებს. მსგავსი ნორმის არსებობა კანონში იქნებოდა პრევენციული ხასიათის. ასევე სასურველი იქნებოდა ცალკე კანონის არსებობა, რომელიც ორიენტირდებოდა ადამიანის უფლებების დაცვაზე ინტერნეტსივრცეში, მათ შორის - შემსრულებლის უფლებების დაცვაზეც. ასეთი კანონის არსებობაც იქნებოდა პრევენციული ხასიათის.

აღნიშნული რეკომენდაცია კანონმდებლობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რადგანაც ინტერნეტსივრცე არის ახალი და უკონტროლო და დროულიც იქნებოდა მსგავს კანონპროექტზე მუშაობა, არა მხოლოდ შემსრულებლების უფლებებისათვის, არამედ, ზოგადად, ინტელექტუალური საკუთრების ჭრილშიც, ვინაიდან ინტერნეტსივრცე არის ინტელექტუალური შემოქმედების სწრაფი გავრცელების ადგილი და ზიანდება მომიჯნავე უფლების მქონე სუბიექტები. შესაბამისად, რეკომენდაცია კანონმდებლობის არსებობასთან დაკავშირებით არის ყველაზე პრევენციული ხასიათის ღონისძიება შემსრულებლის პირადი უფლებების დასაცავად.

2.2. სასამართლოსთვის მიმართვა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებების დასაცავად მიმართლოს სასამართლოს[130], მაგრამ აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სასამართლო პროცესი, როგორც წესი, არის დროში გაწელილი და ასევე დაკავშირებული გარკვეულ ხარჯებთანაც (ბაჟი), შესაბამისად, შემსრულებლისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არის „თვითდახმარება", ამ ეტაპზე ერთადერთი გზა (ვინაიდან არ გვაქვს პრევენციული ხასიათის ნორმები ინტერნეტსივრცეზე), რომ დაიცვას მისი პირადი უფლებები, მაგრამ საქართველოში შესაბამისი პრაქტიკა ნაკლებად არსებობს, ვინაიდან სასამართლოს, როგორც წესი, მიმართავენ ქონებრივი უფლებების დასაცავად. აღნიშნულის ნათელი მაგალითია უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება[131], სადაც „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია" ითხოვს ჰონორარს, საავტორო და მომიჯნავე უფლების მქონე სუბიექტებისათვის.[132] ეს გადაწყვეტილება ადასტურებს, რომ შემსრულებლები პირადი უფლებების დასაცავად ნაკლებად მიმართავენ სასამართლოს.

საინტერესოა უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება ინტერნეტსივრცეში მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, რომელიც მოწმობს, რომ სასამართლოსათვის დავა ინტერნეტსივრცით მიყენებული ზიანის შესახებ არის ახალი და პრაქტიკა რეალურად მოუმზადებელია მსგავსი საქმეების განხილვისათვის, სწორედ ამიტომაც, აუცილებელია ამ საკითხის შესწავლა.[133] მოცემული საქმე მოწმობს, რომ საკითხი არის ახალი

---

[130] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 31.

[131] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის გადაწყვეტილება, საქმის ნომერი ას-1137-1383-05, იხ. { http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx }

[132] { https://gca.ge/ } {06.06.2020}

[133] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე No2/30577-16. იხ. ნაშრომში: ჟორჟოლიანი გ, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2019, 51.

და საჭიროებს კვლევას, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკული კუთხითაც (ინტერნეტპროგრამები).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შემსრულებლის უფლება - მიმართოს სასამართლოს მისი უფლებების დასაცავად ინტერნეტსივრცეში, ასევე იქნებოდა პრევენციული ხასიათის, რადგანაც საამისო პრაქტიკა ნაკლებია და თითქმის არ არის შემსრულებლის პირად უფლებებზე, მომავალში შეამცირებდა ინტერნეტმეკობრეობის ფაქტებს, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში.

2.3. პროგრამული უზრუნველყოფა

ინტერნეტის განვითარებამ ხელი შეუშალა ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, კერძოდ, ნებისმიერ მომხმარებელს თავისუფლად შეუძლია ასლის გაკეთება და ინტერნეტში ატვირთვა, რითაც ირღვევა შემსრულებლის უფლებები.[134]

თუ ფიქრობთ, რომ სამყარო აღარ არის უსაფრთხო ადგილი და ცდილობთ იყოთ ვირტუალურ სამყაროში, არც იქაა დანაშაულს ნაკლებობა, სოციალური ქსელი არ არის უსაფრთხო ადგილი, ინტერნეტდანაშაული დღითიდღე იზრდება.[135] ამის დასტურია ინტერნეტმეკობრეობა, სხვადასხვა კიბერდანაშაული და ა.შ.

პროგრამული უზრუნველყოფა იქნებოდა ყველაზე უფრო ქმედითი პრევენციული ღონისძიება საავტორო და მომიჯნავე უფლებების

[134] { https://www.legalzoom.com/articles/copyright-assignment-how-to-guide#:~:text=A%20copyright%20is%20a%20form,works%2C%20both%20published%20and%20unpublished.&text=A%20copyright%20assignment%20is%20the%20transfer%20of%20copyright,from%20one%20party%20to%20another } {30.08.2020}
[135] { https://techspirited.com/internet-crime } {30.08.2020}

დასაცავად, ჩვენს შემსთხვევაში შემსრულებლის უფლებების დასაცავად ინტერნეტსივრცეში. გამომდინარე იქიდან, რომ ინტერნეტსამყარო წარმოადგენს ციფრულ პროგრამებს, სხვა ვერაფერი უზრუნველყოფს ისე ნაწარმოებების დაცვას, როგორც ატვირთვისას თავად პროგრამა, რომელსაც ექნება ნაწარმოების დაცვის ვალდებულება.

პროგრამულ უზრუნველყოფასთან აუცილებლად უნდა ვახსენოთ - electronic resource guide – ERG სისტემა, რომელიც არის ელექტრონული სახელმძღვანელო შექმნილი სტუდენტებისათვის, მკვლევარებისათვის, პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის. ის მუდმივად ახლდება და მოიცავს საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვან სფეროებს.[136]

ინტერნეტსივრცეში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დასაცავად ავტორები და შემსრულებლები იყენებენ სხვადასხვა ტექნოლოგიებს, რომლებიც არ ავრცელებენ ნაწარმოებებს არალეგალურად. ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, საინტერესოა ისმოს ჟენევის კონფერენცია[137], რომელიც ადგენს ვალდებულებებს ტექნიკურ ზომებთან მიმართებაში, კერძოდ, ითვალისწინებს დაცვას იმ არსებული ტექნიკური საშუალებების გვერდის ავლის წინააღმდეგ, რომლებსაც მომიჯნავე უფლების მქონე სუბიექტები: შემსრულებლები და ფონოგრამების დამამზადებლები, ისინი მათი უფლებების დასაცავად იყენებენ ამ დებულებებს.[138]

საინტერესოა სხვადასხვა დაცვის პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ საავტორო და მომოიჯნავე უფლებების დაცვას ინტერნეტსივრცეში შეძლებისდაგვარად, ვინაიდან კონტენტი არის დიდი, ამიტომაც საჭიროა ძლიერი პროგრამები, რაც ჯდება საკმაოდ ძვირი. მაგალითად, „Content Id" და „Digital Millennium Copyright Act" - "Dmca".

---

[136] Jonathan Franklin, International Intellectual Property law, 2.
[137] { http://www.sakpatenti.gov.ge/media/page_files/performers_treaty_full.pdf } {06.06.2020}
[138] { http://www.sakpatenti.gov.ge/media/page_files/performers_treaty_full.pdf } {06.06.2020}

2.3.1.„Content Id”

„იუთუბის“ - „Content Id” სისტემის გამოყენება შეუძლიათ საავტორო უფლების მფლობელებს. „იუთუბზე“ ვიდეოს ატვირთვისას „Content Id“ - სისტემა ქმნის და ინახავს ციფრულ „თითის ანაბეჭდს“ და შემდეგ მას ადარებს ატვირთულ ვიდეოებს, ამის შემდგომ ამოწმებს, ამოიცნობს მუსიკას, ვიდეოსა და მელოდიას, ხოლო აღმოჩენის შემთხვევაში ატყობინებს საავტორო უფლების მქონე სუბიექტს ამის შესახებ, ხოლო მას შეუძლია: ვიდეოს დაბლოკვა (შეუძლია დაბლოკოს მთელი ვიდეო, ან დაუბლოკოს მხოლოდ ხმა), ასევე ნახვების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება.[139]

საავტორო უფლების მქონე სუბიექტს შეუძლია, სხვადასხვა ქვეყანაში დაიცვას მისი უფლებები, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, აუცილებელია მსგავსი სისტემების არსებობა, რადაგანაც სისტემა არის პრევენციული ხასიათის.[140] „Content Id“ - სისტემის შესახებ არსებობს არაერთი კრიტიკული მოსაზრება, მაგრამ უდავოა, რომ იგი არის პრევენციული ხასიათის და იცავს საავტორო და მომოიჯნავე უფლებებს ინტერნეტსივრცეში. მსგავსი პროგრამების არსებობა ნამდვილად შეამცირებდა ინტერნეტმეკობრეობას.

„Content Id“ - სისტემის მსგავსი სისტემის შექმნა, სავარაუდოდ, დიდ თანხებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ნამდვილად საჭიროა ციფრულ ეპოქაში, ვინაიდან არათუ შემსრულებლის შესრულება ვრცელდება ინტერნეტში, არამედ ინტერნეტში ცხოვრობს მომხმარებელი (იძენს საკვებს,

---

[139] { https://support.google.com/youtube/answer/2797370?hl=en } {30.08.2020}

[140] ცინცაძე გ., ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის საშუალებები, თბილისი, 2019, 21.

იღებს განათლებას, ეუფლება პროფესიებს). შესაბამისად, აუცილებელია ასეთი დაცვის სისტემები ჰქონდეს ბევრ ინტერნეტარხს და ეს სისტემები დაცული იყოს კანონმდებლობითაც. აქიდან გამომდინარე, თუ ინტერნეტ სივრცე იქნება დაცული მაღალ დონეზე, სემსრულებლის პირადი უფლებებიც იქნება დაცული.

2.3.2.„Digital Millennium Copyright Act“

„Digital Millennium Copyright Act“ - “DMCA” - კანონი საავტორო უფლებების სესახებ ციფრულ ეპოქაში, შეიქმნა აშშ-ში, კონგრესზე საავტორო უფლებების დასაცავად. [141] დოკუმენტიდან ჩანს, რომ ის შექმნილია საავტორო უფლებების დამრღვევი პირისათვის. “DMCA”-მ დაადგინა ქმედების აკრძალვის მოთხოვნა ე.წ. - “Notice&Takedown”, ეს არის საპროტესტო შეტყობინება, რომელსაც უნდა დაემორჩილონ პლატფორმები (მათ შორის აღნიშნულ პროცედურას იყენებს „იუთუბი“). [142] “Notice&Takedown”-ს შეტყობინების შემდეგ საიტი იწყებს ატვირთული მასალის წაშლას, ამ პროცესის განმავლობაში საიტის ადმინისტრაცია ვერ მსჯელობს არის თუ არა მართლზომიერი ეს მასალა, სწორედ ამიტომ ეს საკითხი დღემდე პრობლემურია, რაც ადასტურებს, რომ საჭიროა უფრო უკეთესის შექმნა.[143]

[141] Unintended Consequences: Sixteen Years under the DMCA, EFF, September 2014.

[142] ცინცაძე გ., ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის საშუალებები, თბილისი, 2019, 50.

[143] ჟორჟოლიანი გ, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2019, 38.

საპროტესტო შეტყობინება, ქმედების აკრძალვის მოთხოვნა - “Notice&Takedown” საკმაოდ ეფექტურია იმ გაგებით, რომ შემსრულებლის პირადი უფლებების დარღვევით ატვირთული შესრულება წაიშლება. შესაბამისად, მსგავსი „შეტყობინებით“ შემსრულებელი მეტად არის დაცული, ვიდრე მაგალითად კანონმდებლობით, რომელიც არ ვრცელდება ინტერნეტსივრცეზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ასეთ პროგრამებზე მუშაობა და პრაქტიკაში მეტად დანერგვა. მსგავსი დაცვის პროგრამები, რომელიც მოერგებოდა სპეციალურად შემსრულებლის უფლებებს, აღკვეთდა შესრულების დამახინჯების ფაქტებს.

დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულ იქნა ინტერნეტსივრცეში შემსრულებლის უფლებების დარღვევის ფაქტები და მის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები. ევროკავშირისა და საქართველოს მაგალითების შედეგად გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემა (შემსრულებლის პირადი უფლებების დარღვევა ინტერნეტ სივრცეში).

დადგინდა, რომ ინტერნეტსივრცის განვითარებასთან ერთად იზრდება საფრთხე - დარღვეულ იქნას მეტი პირის საავტორო და მომიჯნავე უფლებები. მკაცრდება კანონმდებლობა, ავტორები და შემსრულებლები არაერთი გზით ცდილობენ, დაიცვან თავიანთი უფლებები, რაც პრაქტიკაში მეტად რთულია. უფლებების დაცვაში მათ ეხმარება საერთაშორისო და ქართული კანონმდებლობაც, ვინაიდან მიღებულია არაერთი საერთაშორისო დირექტივა და კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.

კვლევის შედეგად, შესაძლოა ითქვას, რომ არსებული სამართლებრივი ბერკეტებისა, საერთაშრისო ხელშეკრულებებისა თუ შეთანხმებების მიუხედავად, შემსრულებლის პირადი უფლებების საკმარისი დაცვის გარანტი არ არსებობს XXI საუკუნის ციფრულ ტექნოლოგიებში, საშიშროება დღითიდღე იზრდება. არა მხოლოდ საქართველოშია საავტორო უფლებათა დარღვევის საშიშროება, მისი მოწესრიგება ჯერ კიდევ უჭირთ ევროპის ქვეყნებსაც. შესაბამისად, ნაკლებ გასაკვირი შეიძლება იყოს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, მსოფლიოსთან შედარებით.

ნაშრომში განხილულია საერთაშორისო კანონმდებლობაც - ესენია ბერნის კონვენცია ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ (1883-1971წ.), რომის კონვენცია შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და სამაუწყებლო ორგანიზაციების დაცვის შესახებ

(1961წ.) და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS) შეთანხმება (1964წ.). საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებიდან მნიშვნელოვანია - რომის კონვენცია [144] , რომელმაც დაიცვა შემსრულებლის უფლებები, მისი ძირითადი დებულებები ეხება შემსრულებელთა უფლებებს – „ცოცხალი" შესრულების გადაცემასა და ჩაწერას, აგრეთვე, შესრულების ჩანაწერის გამოყენებას. [145] ის იცავს შესრულებას - შემსრულებლის მოქმედებას, რომელიც მოიცავს ნაწარმოების საჯარო წაკითხვას და ჩვენებას, ასევე შემოქმედებით პროცესს, როდესაც სრულდება ლიტერატურული, ან ხელოვნების ნაწარმოები. [146] კონვენცია განსაზღვრავს შემსრულებლის განსაკუთრებულ უფლებებს შესრულების გამოყენებაზე.

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, შემსრულებლის უფლებების დასაცავად მნიშვნელოვანია - საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონი [147] , რომელიც ამბობს, რომ შემსრულებელს აქვს არაქონებრივი უფლებები: სახელის უფლება, რეპუტაციის პატივისცემის უფლება, შესრულების გამოყენების უფლება ნებისმიერი ფორმით; ასევე ქონებრივი უფლებებიც: შესრულების ჩაწერის უფლება, ჩანაწერის რეპროდუცირების უფლება, ეთერში გადაცემის უფლება, ფონოგრამაზე/ვიდეოგრამაზე ჩაწერილი შესრულების გაქირავების უფლება. შესაბამისად, ეს უფლებები უნდა იყოს დაცული ინტერნეტსივრცეშიც.[148]

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველოში არსებობს - „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია", რომელიც

[144] შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (რომის კონვენცია) 1961.
[145] გაბუნია დ., თაქთაქიშვილი გ., საერთაშორისო საავტორო სამართალი, თბილისი, 2016, 93.
[146] შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (რომის კონვენცია) 1961, მუხლი 7.
[147] საქართველოს კანონის საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, მუხლი 47.
[148] იქვე, მუხლი 47.

უზრუნველყოფს ავტორთა და მომიჯნავე უფლებების მფლობელთა დაცვას.[149] მნიშვნელოვანია ასევე - „კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ არსებობა, რომლის შედეგადაც მომიჯნავე უფლების მქონე სუბიექტები უკეთ ახერხებენ უფლებების დაცვას. ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენების წინააღმდეგ მიმართავენ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და შემდგომში კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ შემთხვევაზე.

ნაშრომში ასევე განხილულ იქნა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ საქართველოს კანონი“ [150] , რომელიც ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ელექტრონული საშუალებების ფლობის, გამოყენებისა და მომსახურების მიწოდების დროს ფიზიკურ და იურიდულ პირთა უფლებებს და მოვალეობებს, ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობებს და სანქციებს.[151] აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში საკანონმდებლო ბაზა საკმარისია შემსრულებლის უფლებების დასაცავად, მხოლოდ პრობლემად რჩება საკანონმდებლო რეგულაციის აღსრულება პრაქტიკაში, რადგანაც არსებობს ინტერნეტსივრცე, ციფრული სამყარო კი საჭიროებს განსხვავებულ მიდგომას და სრულიად ახალ რეგულაციებს.

ნაშრომმა მკითხველს ნათლად დაანახა - კონკრეტული მაგალითებით, მოცემული საკითხის აქტუალობა და ის სირთულეები რაც თან სდევს ინტერნეტსივრცეს. ნაშრომის პირველი ნაწილი დაეთმო შემსრულებლის პირადი უფლებების განმარტებას, მათ ბუნებას - როგორ შეიძლება დაირღვეს იგი ინტერნეტსივრცეში, რეალურად რა პრობლემაა ასეთ დავებში. განხილულია ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობა, მათი დამოკიდებულება ინტერნეტსივრცესთან მიმართებაში. ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია უშუალოდ ინეტრნეტსივრცე და დაცვის

[149] { https://gca.ge/index.php?cid=60 } {06.06.2020}
[150] { https://matsne.gov.ge/ka/document/view/29620?publication=37 } {30.08.2020}
[151] საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ, მუხლი 1.

ღონისძიებები, კერძოდ, გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა: პირველი - კანონმდებლობის არარსებობა ინტერნეტსივრცის შესახებ, მეორე - თვითდახმარება: შემსრულებელს მისი პირადი უფლებების დასაცავად ინტერნეტსივრცეში აქვს მხოლოდ ერთი გზა - მიმართოს სასამართლოს და ამტკიცოს, რომ დაირღვა მისი უფლება, ხოლო მესამე - პროგრამული უზრუნველყოფა, დაცვის ტექნოლოგიები. აქედან გამომდინარე, განხილული იქნა თითოეული ვარიანტი და გაიცა რეკომენდაციები.

ქართული სამართლებრივი სივრცისათვის ეს ნაშრომი განიხილავს შესაძლო სამომავლო ნორმატიულ მოწესრიგებას ინტერნეტსივრცესთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომი ამ საკითხით დაინტერესებული იურისტებისათვის გამოდგება საორიენტაციო კვლევად, სადაც ნაჩვენებია აღნიშნული საკითხის სიახლე და ინტერნეტსივრცეში დარღვეული უფლების შესახებ სასამართლო დავების პრობლემურობაც. ნაშრომში გაწეული რეკომენდაციები ეყრდნობა საერთაშორისო დირექტივებს და პროგრამულ სისტემებს. ქართულ იურიდულ ლიტერატურაში აღნიშნული საკითხის თითქმის არარსებობა იმის დასტურია, რომ აუცილებელია ინტერნეტსივრცეში მომიჯნავე უფლებების დაცვის თაობაზე არსებობდეს კანონმდებლობა, რაც ნაშრომში რეკომენდაცის სახითაა განხილული.

მხოლოდ სამართლის მავალდებულებელი და მაიძულებელი ძალით ვერ შეძლებს პრობლემის მოგვარებას. შეუძლებელია მხოლოდ ერთი გადმოსახედიდან შეფასდეს პრობლემა მომიჯნავე უფლების დარღვევისას. აუცილებელია როგორც შემსრულებელმა, ასევე პროვაიდერებმაც იზრუნონ ამაზე. შემსრულებლის პირადი უფლებების დასაცავად აუცილებელია დაცვის პროგრამების არსებობა და საზოგადოებრივი თვითშეგნებაც.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ ინერნეტსივრცეში შემსრულებლის პირადი უფლებების დარღვევა თანამედროვე სამყაროს გამოწვევაა, მაგრამ

სამწუხაროდ შემსრულებლებს არ აქვთ დაცვის მექანიზმები. აღნიშნული პრობლემა დაძლევადია, თუ ნაშრომში განხილული რეკომენდაციები იქნება შესრულებული, ვინაიდან ინტერნეტსივრცე არის დღეს „მეორე სამყარო“, სადაც ვცხოვრობთ და, შესაბამისად, აღნიშნულ სივრცეში თავს დაცულად უნდა გრძნობდნენ არა მხოლოდ შემსრულებლები, არამედ ასევე მომხმარებლეიც.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ბეჟაშვილი ზურაბ, ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების როლი საავტორო უფლებათა დაცვის სფეროში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 2013.
2. ბეგიაშვილი მარიამ, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს ანალიზი, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, 2018;
3. გაბუნია დავით, თაქთაქიშვილი გიორგი, საერთაშორისო საავტორო სამართალი, საქპატენტის გამოცემა, თბილისი, 2016;
4. გაბუნია დავით, კვიმსაძე მაია, მელითაური ზ., ინტელექტუალური საკუთრება, საქპატენტის გამოცემა, თბილისი, 2001;
5. ჟორჟოლიანი გიორგი, ინტერნეტ დელიქტების სამართლებრივი ანალიზი ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირისა და ქართული სამართლის მიხედვით, თბილისი, 2019;
6. საქპატენტის სასწავლო ცენტრი, Dl101GE20S1 - კურსზე მიღებული სასწავლო მასალა.
7. ცინცაძე გვანცა, ინტერნეტსივრცეში ნაწარმოების უნებართვოდ გამოყენება და მასთან ბრძოლის საშუალებები, თბილისი, 2019;
8. ძამუკაშვილი დავით, ინტელექტუალურ უფლებათა სამართალი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2014;
9. ძამუკაშვილი დავით, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2002;
10. ჯორბენაძე სანდრო, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2013.
11. Council of Europe, Internet Governance strategy 2016-2019, pp 9.
12. Guy Tritton, Intellectual Property in Europe, Sweet&Maxwell, fourth edition, 2014, pp 4.
13. Jonathan Franklin, International Intellectual Property law, American Society of International law, 2013; pp 2-4.
14. Peukert Ch., Claussen J., Kretschmer T., Piracy and Box Office Movie Revenues: Evidence from Megaupload, 2017, pp 1.

15. Secondary Liability of Internet Service Providers (G. Dinwoodie ed., Springer, 2017).

სასამართლო პრაქტიკა :

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 31 იანვრის ას-1137-1383-05 საქმე;
17. Case Cicad v. Switherland, App no 17676/09, IHRL 3996 (ECHR 2016);
18. Decision by the European Court of Justice on the case Lagarde v. SPRE, 14.07.2005, Case C – 192/04.

ნორმატიული აქტები :

19. საქართველოს კონსტიტუცია 1995;
20. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 1997;
21. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1997;
22. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1999;
23. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 1984;
24. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია 1948;
25. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის დამფუძნებელი კონვენცია (1996);
26. ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის შესახებ ბერნის 1886 წლის კონვენცია;
27. შემსრულებელთა, ფონოგრამის დამამზადებელთა და მაუწყებლობის ორგანიზაციების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (რომის კონვენცია) 1961;
28. ხელშეკრულება ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვაჭრობის თანხვედრი უფლებების შესახებ (1994);
29. ისმოს ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ (1996);

30. ისმოს ხელშეკრულება შესრულებისა და ფონოგრამების შესახებ (1996);
31. საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ (1999);
32. ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონი (2005).
33. დირექტივა ინფორმაციულ საზოგადოებაში საავტორო უფლებების და მათთან დაკავშირებული უფლებების გარკვეული ასპექტების ჰარმონიზაციის შესახებ 2001/29 / EC.
34. Unintended Consequences: Sixteen Years under the DMCA, EFF, September 2014

ელექტრონული რესურსი :

35. https://gca.ge/index.php {06.06.2020}
36. www.sakpatenti.gov.ge {06.06.2020}
37. https://matsne.gov.ge {30.08.2020}
38. www.wipo.int {25.07.2020}
39. www.gen.ge {25.07.2020}
40. www.eff.org/files/2014/09/16/unintendedconsequences2014.pdf {15.08.2020}
41. http://www.gca.ge/uploads/files/Megzuri_2.pdf {15.08.2020}
42. https://www.comcom.ge/ge/ {15.08.2020}
43. https://www.wipo.int/pressroom/en/briefs/performers.html {15.08.2020}
44. https://www.eset.com/blog/consumer/high-performance-protection-making-the-internet-safer-for-you-to-enjoy-with-eset-internet-security/ {20.08.2020}
45. https://tcc.court.ge/ka/Statisti cs {20.08.2020}
46. https://fortuna.ge/fortuna/post/eka-kvaliashvilis-simghera-luba-uspenskaiam-unebartvod-sheasrula {20.08.2020}
47. https://www.avvo.com/legal-answers/posting-videos-of-other-people-without-permission-174067.html {30.08.2020}
48. https://www.rs.ge//4865 {30.08.2020}

49. https://www.girchi.com/ge/media/news/2033-intelektualuri-sakutrebis-upleba-realuri-sakutrebis-uplebis-cinaaghmdeg {30.08.2020}
50. https://eufordigital.eu/geo/managing-intellectual-property-rights-for-digital-innovation-meeting-a-key-challenge-for-innovative-smes/ {30.08.2020}
51. https://www.legalzoom.com/articles/copyright-assignment-how-to-guide#:~:text=A%20copyright%20is%20a%20form,works%2C%20both%20published%20and%20unpublished.&text=A%20copyright%20assignment%20is%20the%20transfer%20of%20copyright,from%20one%20party%20to%20another {30.08.2020}
52. https://www.copyrighted.com/blog/copyright-infringement {30.08.2020}
53. https://techspirited.com/internet-crime {30.08.2020}
54. https://creativecommons.org/about/ {30.08.2020}
55. https://1tv.ge/news/saavtoro-uflebebi-saqartveloshi-romeli-kompania-dajarimda-50-000-larit/ {30.08.2020}
56. https://www.youtube.com/watch?v=Fgt_VQPRuIs {30.08.2020}
57. https://www.uspto.gov/learning-and-resources/ip-policy/musicians-and-artists-profile {20.08.2020}
58. https://support.google.com/youtube/answer/2797370?hl=en {30.08.2020}